ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიკა მალაყმაძე

რუსეთის ეკონომიკური სანქციების გავლენა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ფიქრია ასანიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და მასში ცვლილებების წარმოქმნის საკითხი. გამოვიკვლევ იმ მიზეზებს, თუ რატომ წარმოიქმნა ცვლილებები პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში.

ნაშრომში გამოყოფილია შემდეგი საკვლევი კითხვა: *რატომ წარმოიქმნა ცვლილებები პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ?* კვლევის პროცესში გამოიკვეთა ჰიპოთეზა: *პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ ცვლილებების წარმოქმნა განაპირობა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რასაც ხელი შეუწყო 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმაც.*

აღნიშნული ჰიპოთეზის ასახსნელად გამოყენებულია დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, რომლითაც შევეცდები მკითხველს დავანახო რუსეთის ეკონომიკური სანქციების გავლენა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

საბოლოოდ კი მოხდება წამოყენებული ჰიპოთეზის დამტკიცება სხვადასხვა ანალიტიკური ნაშრომიდან - სტატიებიდან, ანგარიშებიდან, კვლევებიდან, სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებიდან, ოფიციალური განაცხადებებისა და დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე.

The impact of Russian economic sanctions on the pro-Western foreign policy of Moldova

Marika Malakmadze

Abstract

The aim of this thesis is to examine the issues of the pro-Western foreign policy of Moldova and causes of changes which occurred in it. I will review the reasons why origioned changes in the pro-Western foreign policy of Moldova.

The thesis focuses on the following research question: *Why origioned changes in the pro-Western foreign policy of Moldova towards pro-Russian foreign policy?* The following hypothesis was proposed in course of the research: *Changes in the pro-Western foreign policy of Moldova towards pro-Russian foreign policy was caused by the economic sanctions imposed by Russia on Moldova, although it was promoted by the corruption scandale which occurred in 2014.*

Daniel W. Drezner's conflict expectations model is applied to the research to prove hypothesis. The author will try to reveal to the readers the impact of Russian economic sanctions on the pro-Western foreign policy of Moldova.

Finally, the hypothesis will be proved by the use of different analytical works – articles, reports, researches, considarations of different authores, official announcments and documents.

სარჩევი

1. შესავალი 6

1.1 საკვლევი საგანი 7

1.2 მეთოდოლოგია 9

1.3 ნაშრომის სტრუქტურა 10

1.4 ტერმინთა განმარტება 11

3. თეორიული ჩარჩო 13

4. მოლდოვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ევროკავშირისთვის 15

5. მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება და განვითარება 17

5.1 ცვლილებები მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში ……..…...… 24

6. რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2013-2014 წლებში ….28

6.1 რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები მოლდოვის მიმართ ……...…… 30

6.2 რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2006 წელს 34

7. მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში ცვლილებების გამომწვევი მიზეზები (ცვლადების ოპერაციონალიზაცია) …… 36

8. დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელის საკვლევ თემაზე მორგება …… 43

9. დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 50

დანართი 1 55

დანართი 2 56

დანართი 3 57

დანართი 4 58

აბრევიატურები

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

ეუთო - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

მასსრ - მოლდოვის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა

მსსრ - მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი

AfEI - ევროპული ინტეგრაციისთვის ალიანსი

AP - სამოქმედო გეგმა

DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

EAEU - ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს

ENP - ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

MFN - Most Favored Nation

PCA - პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

WTO - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

1. შესავალი

დღესდღეობით, ეკონომიკური დიპლომატია უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოთა დღის წესრიგში. სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ეკონომიკურ ქმედებებს, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს. მათ რიცხვს განეკუთვნება რუსეთიც, რომელიც აქტიურად იყენებს ეკონომიკურ სანქციებს საკუთარი ეროვნული ინტერესების მისაღწევად, რომლის ერთ-ერთი სამიზნე გახდა მოლდოვა.

მოლდოვა ევროპის სამხრეთ პერიფერიაზე, პოსტ-საბჭოთა სივრცეში მდებარე სახელმწიფოა, რომელმაც 1991 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა. იგი პატარა, ჩაკეტილი, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი სახელმწიფოა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კონკურენტი ევროკავშირისა და რუსეთისთვის, რომელთა გავლენის სფეროშიც მდებარეობს იგი. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მოლდოვა იწვევს როგორც რუსეთის, ისე ევროკავშირის ინტერესს. შესაბამისად, მას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ორივე აქტორისთვის. ევროკავშირი მოლდოვას განიხილავს, როგორც რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბასტიონს, ხოლო რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს მოლდოვის საგარეო პოლიტიკის დასავლეთისკენ ორიენტირებას, რათა შექმნას ბუფერი მასსა და ნატოს შორის (Kramer, 2016).

მოლდოვა საბჭოთა კავშირის შემადგენელი სახელმწიფო იყო, თუმცა, მოლდოველ ხალხს არ სურდა წარსულში დაბრუნება, ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აირჩიეს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი. ევროკავშირში ინტეგრაცია მოლდოვის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა და მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადაიდგა ევროკავშირსა და მოლდოვას შორის ორმხრივ ურთიერთობებში 1994 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ხელმოწერით დაწყებული, 2016 წელს ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების (AA/DCFTA) ძალაში სრულად შევლის ჩათვლით. თუმცა,

2014 წლიდან, პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში წარმოიქმნა ცვლილებები პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ.

1.1 საკვლევი საგანი

მოლდოვის პოლიტიკურ დღის წესრიგში ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი აქტიური განხილვის თემას წარმოადგენს და, თავის მხრივ, ევროკავშირი დიდ ინტერესს გამოხატავს მის მიმართ, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მისთვის. პოსტ-საბჭოთა ქვეყნის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი კი იწვევს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის უკმაყოფილებას, რომელიც გეოპოლიტიკური ინტერესების გამო ცდილობს, შეცვალოს მისი პროდასავლური ორიენტაცია ევრაზიულით. როდესაც მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი აქტიურდება, ამას თან სდევს ამავე პერიოდში რუსეთის მიერ მოლდოვაზე ეკონომიკური სანქციების დაწესება. ამ მხრივ, აღსანიშნავია რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2006 წელს, თუმცა, იგი განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა 2013-2014 წლებში.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ეკონომიკური სანქციები დაუწესა მოლდოვას, 2014 წლის მოლდოვის საპარლამენტო არჩევნებში შემცირდა მოსახლეობის მხარდაჭერა ქვეყნის სათავეში 2009 წლიდან მყოფი პროევროპული მთავრობისადმი, 2016 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კი პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის მოსახლეობამ პრეზიდენტად იგორ დოდონი აირჩია, მოლდოვის რესპუბლიკის სოციალისტური პარტიიდან, რომელიც ცნობილია პრორუსული ორიენტაციით. იგი ეწინააღმდეგება მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციას, უპირატესობას ანიჭებს მის წევრობას რუსეთის მიერ დომინირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში და სურს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შეწყვეტა.

სურვილი გამიჩნდა, შემესწავლა მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და მასში ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. ვთვლი, რომ ჩემს მიერ შერჩეული საკვლევი თემა განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ ჯერჯერობით ეს საკითხი საკმაოდ ახალია და არ არის კარგად შესწავლილი, რაც შესაძლებლობას მაძლევს, ამ თემის კვლევის პროცესში ჩემი წვლილიც შევიტანო. ამასთანავე, მსურს ხაზი გავუსვა, რომ კვლევა საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო იქნება როგორც ეკონომიკური დიპლომატიის სფეროში გაცნობიერებული პირებისთვის, ასევე, სხვა საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

ახლა კი, გაგაცნობთ ჩემი თემის **საკვლევ კითხვას,** რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: *რატომ წარმოიქმნა ცვლილებები პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ?*

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე კი ჩამოვაყალიბე სამუშაო **ჰიპოთეზა**: *პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ ცვლილებების წარმოქმნა განაპირობა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რასაც ხელი შეუწყო 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმაც.*

ნაშრომში გამოიყოფა შემდეგი ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი: რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები;

დამოკიდებული ცვლადი: პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნა პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ;

შუალედური ცვლადი: 2014 წელს მომხდარი კორუფციული სკანდალი.

შევეცდები, ნაშრომში მიმოვიხილი თითოეული ცვლადის ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედების მთავარი მომენტები.

1.2 მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ კვლევა სწორედ განვითარდეს, აუცილებელია ნაშრომის გარკვეულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში მოქცევა. ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია, დადგინდეს დამოუკიდებელ, დამოკიდებულ და შუალედურ ცვლადებს შორის კავშირი და ამ გზით მოხდეს ჰიპოთეზის ტესტრირება. ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევაში განხილული იქნება ლიტერატურა, რომელიც მოლდოვისა და ევროკავშირის ურთიერთობებს, მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას, რუსეთის ინტერესებს მოლდოვის მიმართ, რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, რუსეთის მიზნებსა და ამ სანქციების შედეგებს ეხება. გამომდინარე აქედან, ნაშრომი წარიმართება თვისებრივი მეთოდის, კერძოდ, კონტენტ ანალიზის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა ანალიტიკური ტექნიკის გამოყენებას და ითვალისწინებს მონაცემთა შინაარსის შესწავლას, რათა დადგინდეს მასალის მნიშვნელობა, კონტექსტი და განზრახვები. (Prasad 2012, 1). თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდის დროს უფრო მეტად მნიშვნელობას ესმევა ხაზი, ვიდრე რაოდენობას. (ჯავახიშვილი 2004: 23). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ტიპის ანალიზისას ხდება ტექსტებიდან არა მარტო აშკარა გზავნილების გამოყოფა, არამედ ქვეტექსტებისაც. (Becker,Lissmann 1973). მოცემული კვლევა ეფუძნება სხვადასხვა ანალიტიკური ნაშრომის - სტატიების, ანგარიშებისა და კვლევების, სხვადასხვა ავტორების მოსაზრებების, ოფიციალური განაცხადებებისა და დოკუმენტების გაცნობას.

1.3 ნაშრომის სტრუქტურა

იმისათვის, რომ მკითველს მოცემულ საკითხზე სრული წარმოდგენა შეექმნას, ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმობა მოლდოვის გეოსტრატეგიული მდებარეობის გავლენის შესწავლას მის საგარეო პოლიტიკაზე, სადაც განსაზღვრული იქნება როგორც ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები მოლდოვის მიმართ, ასევე, მოლდოვის ინტერესებიც ევროკავშირის მიმართ და მისი პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება და განვითარება. განხილული იქნება როგორც მათი თანამშრომლობის ინტერესები, ისე ევროკავშირსა და მოლდოვას შორის ურთიერთთანამშრომლობის ქრონოლოგია. ასევე, ვისაუბრებ მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში წარმოქმნილ ცვლილებებზე. მას შემდეგ, რაც გაანალიზდება ევროკავშირისა და მოლდოვის ურთიერთობები, განვიხილავ რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს და რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს მოლდოვის მიმართ, რაც, როგორც დავინახავთ, განაპირობებს მის მიერ ეკონომიკური სანქციების გამოყენებას მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ბერკეტად.

მეორე ნაწილი დაეთმობა ცვლადების ოპერაციონალიზაციასა და ჰიპოთეზის არგუმენტებით გამყარებას, რასაც რეალურად ემსახურება მთელი ნაშრომი. შევისწავლი რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკურ სანქციების გავლენას მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნაზე პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ და 2014 წლის კორუფციულ სკანდალს, როგორც ამ ცვლილებების წარმოქმნაში ეკონომიკური სანქციების გავლენისთვის ხელისშემწყობ ფაქტორს.

მესამე ნაწილი დაეთმობა ნაშრომის თეორიულ ჭრილს, სადაც გამოყენებული იქნება Daniel W. Drezner-ის წიგნი "The Sanctions Paradox, Economic Statecraft and International Relations, რომელიც არის ეკონომიკური იძულების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში.

დრეზნერი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური სანქციების დამწესებელი და სამიზნეც ითვალისწინებენ სამომავლო კონფლიქტების მოლოდინს ისევე, როგორც მოკლევადიან პერსპექტივაში ამ სანქციების გავლენას მათზე. დრეზნერის მიხედვით, კონფლიქტის მოლოდინს პარადოქსული ეფექტი აქვს. მოწინააღმდეგეები სანქციებს ხშირად უწესებენ ერთმანეთს, მაგრამ იშვიათად უზრუნველყოფენ დათმობებს, ხოლო მოკავშირეები ნაკლებად არიან მიდრეკილნი სანქციები დაუწესონ ერთმანეთს, მაგრამ თუკი მოხდება მათ შორის ეკონომიკური სანქციების გამოყენება, მას შედეგად მნიშვნელოვანი დათმობები მოჰყვება. (Drezner, 1999, 5).

აღნიშნულს მოვარგებ ჩემს საკვლევ თემას, რომლითაც ახსნილი იქნება რუსეთის ეკონომიკური სანქციების გავლენა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე.

1.4 ტერმინთა განმარტება

გეოპოლიტიკა თანამედროვე ლიტერატურაში იხმარება სამი სხვადასხვა გაგებით. ერთი მხრივ, იგი მიიჩნევა რეაქციულ პოლიტიკურ დოქტრინად, რომელიც არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გაუმჯობესების, ე.წ. „სასიცოცხლო სივრცის“ შექმნის აუცილებლობის მიზნით ამართლებს და ასაბუთებს ექსპანსიურ პოლიტიკასა და ტერიტორიულ დაპყრობებს სხვა სუსტი და „არასრულფასოვანი“ ქვეყნების ტერიტორიების ხარჯზე. ასეთი გეოპოლიტიკა გაიგივებულია იმ ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პრაქტიკასთან, რასაც ახორციელებდა ნაცისტური გერმანია და რაც ამჯერად საყოველთაოდაა უარყოფილი. მეორე მხრივ, გეოპოლიტიკა არის მოძღვრება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ ქცევას საფუძვლად უდებს გეოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდიდე, კლიმატი, რელიეფი, ბუნებრივი რესურსები და, ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და ტექნოლოგიური

პოტენციალი. გეოპოლიტიკის ასეთი გაგება ყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. მესამე, გეოპოლიტიკა არის სახელმწიფოთა კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ქმედებანი თავიანთი როლისა და გავლენის გაძლიერებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში. (National Parlamentary Library of Georgia).

ნაშრომში გეოპოლიტიკა გამოყენებულია მესამე მნიშვნელობით, რომ გეოპოლიტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მიერ ტერიტორიების გაყოფისა და გავლენის სფეროებად გადანაწილების კანონზომიერებებს.

ეკონომიკური სანქციები ეკონომიკური დიპლომატიის, იგივე ეკონომიკური statecraft-ის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ეკონომიკური statecraft არის სახელმწიფოს მიერ საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება საერთაშორისო სისტემის აქტორებზე გავლენის მოხდენის მიზნით, რათა სხვებს გააკეთებინო ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ. ეკონომიკური სანქციები კი წარმოადგენს ინიციატორი ქვეყნის მიერ ეკონომიკური კავშირების შეწყვეტას ან შეწყვეტის მუქარას სამიზნე ქვეყნის მიმართ, რათა აიძულოს სამიზნე ქვეყანა შეასრულოს მისი პოლიტიკური მოთხოვნები. (Grieco and Ikenberry, 2003, 166).

რაც შეეხება მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, იგი შემოიფარგლება ევროკავშირთან ასოცირების სურვილით, რადგან მოლდოვისთვის ნატო-ში გაწევრიანება არ დგას დღის წესრიგში ქვეყნის ნეიტრალიტეტის გამო. ამიტომ მოლდოვა მიისწრაფის იმ სტანდარტების დამკვიდრებისაკენ, რაც აუცილებელია ევროკავშირთან ასოცირებისთვის.

3. თეორიული ჩარჩო

Daniel W. Drezner-ი წიგნში "The Sanctions Paradox, Economic Statecraft and International Relations, ცდილობს ახსნას თუ რატომ მიმართავენ სახელმწიფოები ეკონომიკურ სანქციებს და რა განსაზღვრავს მათ წარმატებას. იგი ქმნის მოდელს ეკონომიკური სანქციების დამწესებლისა და მისი სამიზნის ქცევის ასახსნელად ამ სანქციების მოსალოდნელი ხარჯებისა და ერთმანეთს შორის მომავალი კონფლიქტის მოლოდინის გათვალისწინებით. დრეზნერის მიხედვით, ეკონომიკური სანქციების დაწესების მოკლევადიანი ხარჯები მნიშვნელოვანია სამიზნე და გამგზავნი ქვეყნებისთვის, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი ფაქტორი. ეკონომიკურ იძულებაზე გავლენას ახდენს სანქციების დამწესებელ და სამიზნე ქვეყნებს შორის პოლიტიკური აქტივების გადანაწილებაც. სახელმწიფოები ფიქრობენ ამაზე თუკი ისინი მიიჩნევენ, რომ იგი ზიანს მიაყენებს მათ პოზიციას მოლაპარაკებებზე სამომავლო კონფლიქტებში, რაც დაკავშირებულია ქვეყნის რეპუტაციასთან. (Drezner, 1999, 4).

დრეზნერი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის მოლოდინს წინააღმდეგობრივი გავლენა აქვს ეკონომიკურ იძლებაზე. ერთის მხრივ, კონფლიქტის მოლოდინი სანქციების დაწესებისთვის უფრო მეტ მზადყოფნას უზრუნველყოფს. რაც უფრო დიდია ინტერესი შედარებითი მოგებისა და რეპუტაციის მიმართ, მით უფრო მეტადაა მოსალოდნელი, რომ ქვეყანა მიმართავს ეკონომიკურ სანქციებს. (Drezner, 1999, 4).

კონფლიქტის მოლოდინის მეორე ეფექტი პარადოქსული და გასაკვირია. სანქციების დამწესებლის ენთუზიაზმი არ ნიშნავს, რომ მის მიერ დაწესებულ სანქციებს დიდი დათმობები მოყვება. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი დავების ძლიერი მოლოდინის გამო სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკური სანქციების დაწესებას მეორე სახელმწიფოსთვის, იგი ამცირებს მის შესაძლებლობას მოიპოვოს დათმობები. სანქციების სამიზნე ქვეყნის კონფლიქტის მოლოდინი განსაზღვრავს დათმობების სიდიდეს. როდესაც მას სანქციებს უწესებს მოწინააღმდეგე სახელმწიფო, იგი გაითვალისწინებს მისი მხრიდან

დათმობების სამომავლო შედეგებს. იმის გამო, რომ იგი მოელის ხშირ კონფლიქტებს, სანქციების სამიზნე ქვეყანის მხრიდან დათმობები უარყოფითად იმოქმედებს სანქციების დამწესებელ ქვეყანასთან სამომავლო ურთიერთობაში მოლაპარაკებებზე მის პოზიციაზე. როდესაც რეპუტაცია მნიშვნელოვანია, დათმობები აძლიერებს სანქციების დამწესებლის პოზიციას, არ წავიდეს დათმობებზე სანქციების სამიზნე ქვეყანასთან სამომავლო მოლაპარაკებებში, ხოლო ასუსტებს სამიზნე ქვეყნის რეპუტაციას. (Drezner, 1999, 4-5).

მოკავშირეების შემთხვევაში ეს ფაქტორი ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან სანქციების სამიზნე ქვეყანა ნაკლებად ელის ნულოვანშედეგიან კონფლიქტებს ამ სანქციების დამწესებელთან. ამიტომ, სამიზნე ქვეყანა უფრო მეტად წავა დათმობებზე, როდესაც სანქციების დამწესებელი ქვეყანა არის მისი მოკავშირე, ვიდრე მოწინააღმდეგე. ამასთანავე, სანქციების დამწესებელი ქვეყანა მიიღებს სარგებლის მისთვის ყველაზე ხელსაყრელ განაწილებას, როდესაც იგი ყველაზე ნაკლებად ზრუნავს სარგებლის შედარებით განაწილებაზე. (Drezner, 1999, 5).

დანართი 1-ში მოცემულია ცხრილი, რომელიც აჯამებს კონფლიქტის მოლოდინის მოდელის პროგნოზებს. მოწინააღმდეგეებს შორის, ქვეყანას უფრო მეტად ექნება სანქციების გამოყენების სურვილი, მიუხედავად იმისა, თუკი სამიზნე ქვეყნის ჩიხში შეყვანის ხარჯები მხოლოდ მცირედით იქნება მეტი, ვიდრე სანქციების დამწესებელი ქვეყნის ხარჯები. ამასთანავე, სანქციების დამწესებელი ქვეყანა ვერ მოიპოვებს მნიშვნელოვან დათმობებს სამიზნე ქვეყნისგან. იმის გამო, რომ სამიზნე ქვეყანა ითვალისწინებს დათმობებზე წასვლის სამომავლო შედეგებს, ნებისმიერი დათმობა ორმაგი დარტყმის მომტანი იქნება მისთვის; მას არა მხოლოდ მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოკლევადიან პერსპექტივაში, არამედ იგი ამით სანქციების დამწესებელ ქვეყანას სამომავლო პერსპექტივაში მასზე ზემოქმედების უფრო დიდ ბერკეტს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოლოდინის გამო სანქციის დამწესებელ ქვეყანას ურჩევნია სამიზნე ქვეყნის ჩიხში შეყვანა, ამ სანქციებიდან სამიზნე ქვეყნის მიერ დათმობებზე წასვლა ნაკლებადაა მისაღები. ამდენად,

მოწინააღმდეგეებს შორის, დრეზნერი მოელის სანქციებს, რომლებიც ხშირად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული სანქციების დამწესებელი ქვეყნისთვის, მაგრამ იწვევს მხოლოდ მარგინალურ დათმობებზე წასვლას სამიზნე ქვეყნის მხრიდან. (Drezner, 1999, 5).

რაც შეეხება მოკავშირეებს, მათ შორის ნაკლებად არსებობს მოკავშირე სახელმწიფოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების განზრახვა თუკი ამ სანქციების დაწესების ხარჯებს შორის დიდი განსხვავება იქნება მისი დამწესებლისა და სამიზნე ქვეყნისთვის. სამიზნე ქვეყნის ჩიხში შეყვანით მისთვის გამოწვეული ხარჯები მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ხოლო სანქციების დამწესებელი ქვეყნის საკუთარი ხარჯები გაცილებით მცირე, რათა ქვეყანამ უპირატესობა მიანიჭოს მოკავშირე სახელმწიფოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას. თუკი ხარჯებს შორის მსგავსი განსხვავება იქნება და ქვეყანა გადაწყვეტს ეკონომიკური სანქციების დაწესებას მოკავშირე სახელმწიფოსთვის, ეს სანქციები ნაყოფიერი შედეგის მომტანი იქნება. იმის გამო, რომ სანქციების სამიზნე ქვეყანა არ მოელის ბევრ სამომავლო კონფლიქტს, იგი ნაკლებად იზრუნებს დათმობების მატერიალურ და რეპუტაციასთან დაკავშირებულ შედეგებზე, ხოლო უფრო მეტად - იმდროინდელ დანახარჯებსა და სარგებელზე. იგი უფრო მეტ დათმობებზე წავა, რათა თავიდან აიცილოს ეკონომიკური სანქციების მეშვეობით მისი ჩიხში შესვლის ხარჯები. ამდენად, მოკავშირეებს შორის დრეზნერი მოელის სანქციებს, რომლებიც ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და უფრო მეტად პროდუქტიული შედეგების მომტანი იქნება. (Drezner, 1999, 5-6).

4. მოლდოვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ევროკავშირისთვის

მოლდოვას, როგორც პატარა და ევროპის ყველაზე ღარიბ სახელმწიფოს, არ აქვს შესაბამისი სამხედრო შესაძლებლობები, რათა დიდ საფრთხეს უქმნიდეს ევროკავშირს. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მოლდოვა მდებარეოს ევროკავშირის სამხრეთ პერიფერიაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის არსებობა მოლდოვაში

წარმოქმნის გაცილებით დიდ საფრთხეს ევროკავშირისთვის. უფრო მეტიც, მოლდოვაში ევროკავშირის ინტერესებზე გავლენას ახდენს ის ფაქტიც, რომ მოლდოვა წარმოადგენს რუსეთის ინტერესის სფეროს.

ევროკავშირის ინტერესი მოლდოვის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის 2004 და 2007 წლების გაფართოების რაუნდების შემდეგ, რამდენადაც გაიზარდა მოლდოვის სიახლოვე ევროკავშირთან, რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ კი უშუალოდ ესაზღვრება მას, რამდენადაც რუმინეთი (უკრაინასთან ერთად) წარმოადგენს მოლდოვის მეზობელ სახელმწიფოს. (Montesano, etc., 2016, 8).

ერთი მხრივ, ევროკავშირის ინტერესებშია მოლდოვის გაძლიერება ისე, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ძალთა გადანაწილება არ შეიცვალოს რუსეთის სასარგებლოდ, რამდენადაც ეს განაპირობებს რუსეთთან მოლაპარაკებებში ევროკავშირის უფრო სუსტ პოზიციას. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი მთავარი აქტორის ინტერესებშია, რუსეთს არ მისცეს შესაძლებლობა გავლენა იქონიოს მოლდოვაზე. აღნიშნულის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ევროკავშირის მოქმედებების გააქტიურდა მოლდოვაში 2003 წლიდან, როდესაც რუსი მომლაპარაკებლები ცდილობდნენ ვორონინის დარწმუნებას ხელი მოეწერა კოზაკის მემორანდუმისთვის, რაც ლეგალურ საფუძველს შექმნიდა 2020 წლამდე დნესტრისპირეთში რუსი ჯარების არსებობისთვის, რის შედეგადაც რუსეთს დიდი გავლენა ექნებოდა მასზე. (მალაშხია, 2011, 244).

თუმცა, მეორე მხრივ, ევროკავშირმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მოლდოვის მიმართ, რადგან მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ძალიან ახლო ურთიერთობებმა შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის უკმაყოფილება, რაც პოტენციური რისკის მატარებელია. ამიტომ, მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები უნდა იყოს დაბალანსებული ძალიან აქტიურსა და პასიურს შორის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მოლდოვის ეკონომიკა არ არის დიდი და უმნიშვნელოა ისეთი დიდი ეკონომიკისთვის, როგორიც აქვს ევროკავშირს, თუმცა, მეზობელ ქვეყანაში არასტაბილური ეკონომიკის არსებობა შემაშფოთებელია ევროკავშირისთვის. მოლდოვას ამ მხრივ ბევრი პრობლემა აქვს, რომელთა შორისაა სიღარიბე, კორუფცია და ადამიანებისა და საქონლის ტრეფიკინგი. ამდენად, მოლდოვის საზღვრებში არალეგალურ მოქმედებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ევროკავშირზე და მის ინტერესებშია ხელი შეუწყოს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებას ქვეყანაში.

5. მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება და განვითარება

მოლდოვა საბჭოთა კავშირის შემადგენელი სახელმწიფო იყო, თუმცა, მოლდოველ ხალხს არ სურდა წარსულში დაბრუნება, ამიტომ აირჩიეს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი. მართალია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოლდოვა გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ), თუმცა აღნიშნული რუსეთის ეკონომიკური სანქციების შედეგს წარმოადგენდა. მოლდოვა მონაწილეობდა დსთ-ს დამფუძნებელ შეხვედრაში 1991 წლის დეკემბერში, ალმა ატაში, თუმცა პარლამენტს დსთ-ში გაწევრიანების რატიფიცირება არ მოუხდენია. შედეგად, 1993 წლის აგვისტოში, რუსეთმა მოლდოვის იმპორტზე დააწესა ამკრძალავი აქციზები და საბაჟო გადასახადები. მხოლოდ აღნიშნულის შედეგად, 6 კვირის შემდეგ, მოლდოვის პრეზიდენტი, მირჩეა სნეგური დათანხმდა დსთ-ში სრულ გაწევრიანებაზე, მაგრამ უარი განაცხადა ხელი მოეწერა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებაზე. (Drezner, Daniel W., 1999, 187).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოლდოვა რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული აღმოჩნდა, ქვეყნის ექსპორტის 80% რუსეთზე მოდიოდა,

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მან აირჩია პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ევროკავშირმა დაიწყო გადახედვა მისი პოლიტიკისთვის ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან მიმართებაში. 1992 წელს შემუშავებულ იქნა რეგიონული მიდგომა და ევროპულმა საბჭომ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება PCA-ის ფარგლებში. ჯერ 1993 წელს, ხოლო შემდეგ 1994 წელს, მოლდოვის პრეზიდენტმა, მირჩეა სნეგურმა წერილებით მიმართა ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტებს, რომელშიც სინანულს გამოხატავდა, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მოლდოვა ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც არ ჰქონდა განსაზღვრული ურთიერთობები ევროკავშირთან. მოლაპარაკებების შედეგად, ევროკავშირსა და მოლდოვას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება PCA-ზე, რომელსაც ხელი მოაწერა 1994 წელს, რამაც უზრუნველყო პოლიტიკური დიალოგის, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების ჩარჩო და საფუძველი ჩაუყარა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას. PCA ძალაში შევიდა 1998 წელს. ამასთანავე, მოლდოვა იყო დსთ-ს წევრი პირველი სახელმწიფო, რომელიც გაწევრიანდა ევროპის საბჭოში 1994 წელს. (Korosteleva, 2010, 1272).

1996 წელს მოლდოვამ ოფიციალურად გააჟღერა ევროკავშირის წევრობის სურვილის შესახებ განაცხადი ლუსიცკის პრეზიდენტობის დროს, 1999 წელს კი ევროკავშირში ინტეგრაცია ოფიციალურად გამოცხადდა მოლდოვის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად, რაც შემდგომში განვითარდა, როგორც მოლდოვის რესპუბლიკის ევროინტეგრაციის კონცეფცია. ამასთანავე, მოლდოვის პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა აქტიურად მუშაობდნენ, რათა მოლდოვა მიეღოთ სხვადასხვა ევროპულ ორგანიზაციებში. შედეგად, 1992 წელს მოლდოვა შევიდა გაეროში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა (ეუთო) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, 1996 წელს კი ევროკავშირსა და მოლდოვას

შორის გაფორმდა დროებითი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს. (Skvortova, 2-3).

2001 წლის საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა, რაც განაპირობა მოსახლეობის მოლოდინმა, რომ რუსეთთან ახლო ურთიერთობებით შეძლებდნენ დნესტრისპირეთის გაყინული კონფლიქტის მოგვარებას და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კომუნისტური პარტიის გამარჯვებამ წარმოქმნა მოლოდინები მოლდოვასა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. მოლდოვის პრეზიდენტის, ვორონინის პირველი ვიზიტი გაიმართა რუსეთის ფედერაციაში, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია იყო, არის და იქნებოდა მოლდოვის სტრატეგიული პარტნიორი. თუმცა, ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ მოლდოვის საგარეო პოლიტიკის ტრადიციული მიმართულება არ შეიცვლებოდა და ევროკავშირთან ურთიერთობები ნაკლებად მნიშვნელოვანი არ გახდებოდა. (Skvortova, 3).

2001 წლის ნოემბერში, რუსეთსა და მოლდოვას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი, დეკემბერში მოლდოვის პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება, ხოლო 2002 წლის აპრილში - რუსეთის დუმამ. (Skvortova, 9). კომუნისტურ პარტიას სჯეროდა, რომ პრორუსული პოზიცია დაეხმარებოდათ დნესტრისპირეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაში. (Skvortova, 1). მოლდოვის ეროვნულ ინტერესებში მთავარ საკითხს სწორედ დნესტრისპირეთის გაყინული კონფლიქტი წარმოადგენს. მოლდოვასა და დნესტრისპირეთის რეგიონს შორის დაპირისპირება 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რომელიც 1992 წელს შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება იმავე წელს იქნა მიღწეული, კონფლიქტი დღემდე გადაუჭრელია. (მალაშხია, 2011, 240). გარდა ამისა, რუსეთთან კარგი დამოკიდებულების ქონით კომუნისტური პარტია ელოდა, რომ რუსეთი მოლდოვას სავაჭრო ურთიერთობებში და ენერგორესურსების ფასებზე პრეფერენციალურ რეჟიმს მიანიჭებდა, რაც მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

(Skvortova, 1). რუსეთი წარმოადგენდა მოლდოვური პროდუქციის ექსპორტის უდიდეს ბაზარს და, ამავდროულად, ენერგორესურსების უდიდეს მიმწოდებელს. მოლდოვას ჰქონდა რუსეთის ბუნებრივი გაზის დიდი ვალი და მთავრობას ვალების რესტრუქტურიზაციისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაზე უფრო ხელსაყრელი შეთანხმების მიღწევის იმედი ჰქონდა. თუმცა, მოლდოვის პრემიერ-მინისტრის, ტარლევის შეხვედრებმა რუსეთის პრემიერ-მინისტრთან, კასიანოვთან აჩვენა, რომ რუსეთი არ აპირებდა "ღარიბი ძმის" დახმარებას მისთვის არახელსაყრელი მდგომარეობის სანაცვლოდ. (Skvortova, 8) რუსეთს არ დაუჭერია მხარი მოლდოვასთან "განსაკუთრებული ურთიერთობების" ქონის იდეისთვის და მოლდოვის მმართველთა მოლოდინებიც არ გაამართლა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებაში მისი როლისადმი. (Skvortova, 9). მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მოლდოვის კომუნისტური პარტია ფოკუსირებული იყო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების ქონაზე, როდესაც რუსეთმა სცადა დაერწმუნებინა ვორონინი, რომ ხელი მოეწერა კოზაკოს მემორანდუმისთვის, ხელშეკრულებისთვის, რომელიც დნესტრისპირეთს მიანიჭებდა დიდ ავტონომიას და რუსეთს დიდ გავლენას რეგიონში, ვითარებაში ევროკავშირი ჩაერია. მოლდოვის მოსახლეობის ზეწოლის პარალელურად, ევროკავშირის ზეწოლამ მოახერხა შეეჩერებინა ვორონინი ამ ხელშეკრულების ხელმოწერისგან. მას შემდეგ მოლდოვამ და ევროკავშირმა ნელ-ნელა ჩამოაყალიბეს ურთიერთობები.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის საარჩევნო დაპირებები მოიცავდა მოლდოვის უფრო აქტიურ მონაწილეობას დსთ-ში, მან თანდათანობით ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნია დსთ-ში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ მხრივ პრაქტიკული ქმედებები არ განხორციელებულა, რადგან გაანალიზეს, რომ ეს პრობლემებს შეუქმნიდა მოლდოვას ერთი მხრივ, მოსახლეობის წინააღმდეგობის, ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთთან ურთიერთობების გაუარსების გამო. (Skvortova, 3).

როგორც გამოიკვეთა, მოლდოვის მთავრობა ცდილობდა რუსეთთან ახლო ურთიერთობების დამყარებას იმ იმედით, რომ იგი დაეხმარებოდა მათ დნესტრისპირეთის

საკითხის მოგვარებაში. თუმცა, დნესტრისპირეთში რუსული ჯარებია განლაგებული და რუსეთთან მეგობრული მოლდოვის მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა მაინც აგრძელებდა და კვლავ აგრძელებს სეპარატისტებისადმი მხარდაჭერას (მალაშხია, 2011, 241-242) მოლდოვაზე მანიპულირების მიზნით, რათა ხელი შეუშალოს მის გასვლას თავისი გავლენის სფეროდან. აღნიშნული ართულებს დნესტრისპირეთის კონფლიქტის გადაჭრას, მოლდოვის მწირი სამხედრო შესაძლებლობები კი ვერ უზრუნველყოფს მას თავი დაიცვას დნესტრისპირეთში არსებული ძალებისგან მომავალი საფრთხისგან. აქედან გამომდინარე, როგორც პატარა ქვეყნის, მოლდოვის ინტერესებშია რეგიონში უფრო ძლიერ სახელმწიფოებთან ახლო ურთიერთობების დამყარება. მოლდოვის ინტერესებში იყო ევროკავშირის, როგორც მედიატორის ჩართვა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებაში, რათა მიეღწია მისი ეფექტური გადაწყვეტისთვის. ევროკავშირმა გახსნა ევროკომისიის დელეგაცია მოლდოვაში და 2005 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად "1+2" ფორმატის ნაცვლად "5+2" ფორმატში, სადაც მოლდოვა და დნესტრისპირეტი წარმოადგენენ კონფლიქტის მხარეებს, რუსეთი, უკრაინა და ეუთო მედიატორებს, ხოლო ევროკავშირი და აშშ - დამკვირვებლებს. (Montesano, etc., 2016, 16).

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში ყოფნამ მოლდოვის ეკონომიკა დამოკიდებული გახადა რუსულ ბაზარზე, რაც რუსეთს უნარჩუნებს ბერკეტს მიმართოს ეკონომიკურ სანქციებს მოლდოვის პოლიტიკის შესაცვლელად. ამიტომ, მოლდოვის ინტერესებშია ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის ქონა და მისი სახით ძლიერი სავაჭრო პარტნიორის ყოლა, რათა შეამციროს მისი ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე. ეკონომიკური რეფორმები აადვილებენ მოლდოვური საქონლის ექსპორტს ევროკავშირში, რაც მოლდოვის ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამიტომ, კომუნისტური პარტიის გამარჯვების შემდეგ წარმოქმნილი მოლოდინების მიუხედავად, რომ მოლდოვასა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა,

მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ სწრაფვა განასკუთრებით გააქტიურდა 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში. ვორონინის პროევროპული რიტორიკა ბევრად უფრო ზუსტი გახდა, ვიდრე მისი წინამორბედების. იგი აცხადებდა, რომ მოლდოვას სურდა ევროკავშირში შესვლა, როდესაც მანამდე გამოიყენებოდა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის განაცხადები. (Skvortova, 4). გარდა ამისა, მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ნიკოლაი დუდაომ ინტერვიუში განაცხადა, რომ იმჟამინდელი მთავრობა ევროკავშირში ინტეგრაციას მიიჩნევს ძირითად სტრატეგიად და, შესაბამისად, იმოქმედებდნენ აღნიშნულის მისაღწევად. 2002 წლის აპრილში, გამოქვეყნდა მოლდოვის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფციის მონახაზი, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა 1995 წელს მიღებული კონცეფცია. დოკუმენტში ხაზგასმული იყო თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების დასრულება და მოლდოვის ჩართვა სტაბილიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში. ეს არის მოლდოვის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს იმ მიზეზებს, თუ რატომ სჭირდებოდა მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანება და რისი გაკეთება იყო საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. (Skvortova, 4).

აღსანიშნავია, რომ კომუნისტური პარტიის გამარჯვების შემდეგ, ევროკავშირს არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება მოლდოვის მიმართ და განაგრძობდა მის დახმარებას. ევროპული პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელიზაბედ შროიდერმა ევროკავშირსა და მოლდოვას შორის თანამშრომლობა შემდეგნაირად შეაფასა: "პარლამენტში არსებობს სტაბილური უმრავლესობა. საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩა. ევროკავშირში ინტეგრაციასა და ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოების მიმართ არსებობს ძლიერი პოლიტიკური სურვილი. ამ კონტექსტში, მოლდოვას აქვს შანსი, განაგრძოს სვლა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე." (Skvortova, 4). შედეგად, 2001 წელს მოლდოვა გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის და, ასევე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი. 2004 წელს მოლდოვა გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) მონაწილე, 2005 წელს კი წარმატებით დასრულდა

მოლაპარაკებები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში სამოქმედო გეგმაზე (AP), რომლის კულმინაციასაც წარმაოდგენდა 2008 წელს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და პოლიტიკური რეფორმების მიღება. შედეგად, ევროკავშირი გახდა მოლდოვის მთავარი სავაჭრო პარტნიორი. მასზე მოდიოდა მოლდოვის საგარეო ვაჭრობის 50.2%. (Korosteleva, 2010, 1268-1269).

2009 წლის არჩევნებში ოპოზიცია გაერთიანდა ევროპული ინტეგრაციისთვის ალიანსში (AfEI) და მოიპოვა გამარჯვება, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გამყარებასა და მოლდოვისა და ევროკავშირის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაში. უნდა აღინიშნოს, რომ AfEI-ში შემავალი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ძველი პარტიებიდან 1990-იან წლებში, ვერ თანხმდებიან ყველა ასპექტზე და მათში კვლავ არსებობს ძველი შეუთანხმებლობა. მაგალითად, ლიბრალურ პარტიას სურს ევროკავშირში გაწევრიანება რუმინეთთან გაერთიანების მეშვეობით, რაც სავარაუდოდ, ნიშნავს გაგაუზიისა და დნესტრისპირეთის დაკარგვას, ხოლო ლიბერალ-დემოკრატებსა და დემოკრატიულ პარტიას სურს მოლდოვამ შეინარჩუნოს ერთიანობა და ევროკავშირში გაწევრიანდეს დნესტრისპირეთსა და გაგაუზიასთან ერთად. გარდა ამისა, დემოკრატიული პარტია, რომელიც იდეოლოგიურად არის დაკავშირებული სოციალურ დემოკრატიასა და სოციალისტურ ინტერნაციონიზმთან, ცდილობს მემარცხენე ცენტრისტული მოსახლეობის გაერთიანებას, როდესაც ლიბერალური პარტია და ლიბერალ-დემოკრატიული პარტია არის მემარჯვენე ცენტრისტული. თუმცა, AfEI-ში არსებული ამ განსხვავებების მიუხედავად, პარტიები ძირითადად ორიენტირებულნი არიან საერთო ევროპულ დღის წესრიგზე, რაც წარმოადგენს მათი პროგრამის ნაწილს და ახორციელებენ რეფორმებს ამ მიზნის მისაღწევად. (Calus, 27 November, 2014). შედეგად, 2009 წელს მოლდოვა გახდა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) მონაწილე, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის შიგნით დემოკრატიის მშენებლობის ხელშეწყობას, სამშვიდობო და სამოქალაქო ინსტიტუტების

შექმნასა და წახალისებას, რამაც უნდა „მოამზადოს“ წევრობით დაინტერესებული ქვეყანა ევროპული კავშირისთვის. 2014 წლის 28 აპრილს მოლდოვამ ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიიღო, 2014 წლის 27 ივნისს კი AA/DCFTA-ს მოაწერა ხელი. მოლდოვის მიერ ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერა მოლდოვის ევროპული არჩევანის რეალიზაციის სტრატეგიული პოლიტიკური აქტია. AA/DCFTA ძალაში სრულად 2016 წელს შევიდა. (Montesano, etc., 2016, 9).

5.1 ცვლილებები მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში

2014 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან შემცირდა მოსახლეობის მხარდაჭერა პროდასავლური საგარეო პოლიტიკის მქონე პოლიტიკოსების მიმართ. მართალია, პროევროპულმა პარტიებმა კვლავ მიიღეს შანსი მოლდოველი ამომრჩევლისგან, რათა კოალიციის სახით პარლამენტში უმრავლესობა შეედგინათ - ლიბერალ-დემოკრატებმა, დემოკრატებმა და ლიბერალებმა ერთობლივად 55 ადგილი მოიპოვეს 101 ადგილიან პარლამენტში - მაგრამ, არჩევნებმა წარმოაჩინა, რომ პროევროპულ ძალთა მხარდაჭერა შემცირდა, რაც რიცხვებში ადვილად შეიმჩნევა. კერძოდ, 2010 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, სადაც კოალიციის წევრებმა 896 ათასი ამომრჩევლის ხმა მიიღეს, 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 729 ათასამდე შემცირდა. ამავდროულად, კომუნისტების პარტიისგან გამოყოფილმა სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობდა პარტიებს შორის ყველაზე დიდი, 20%-იანი მხარდაჭერა მიიღო, რაშიც დიდი წვლილი ითამაშა პროევროპულ პარტიათა ყოფილი ელექტორატის მიერ მათთვის მხარის დაჭერამ. (Secrieru and Sobják, 2015).

2016 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კი, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქალაქეებისთვის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის

უფლება აღდგა, მოლდოვის პრეზიდენტად არჩეულ იქნა იგორ დოდონი, მოლდოვის რესპუბლიკის სოციალისტური პარტიდან, რომელიც ცნობილია პრორუსული ორიენტაციით.

იგორ დოდონმა თავისი საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე გამოთქვა სურვილი რუსეთთან ახლო ურთიერთობების შესახებ. იგი მოსახლეობას ჰპირდებოდა მოლდოვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტისთვის რუსეთის ბაზრის აღდგენას, მოლდოვის მშრომელი მიგრანტებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და დნესტრისპირეთის რეინტეგრაციისთვის ფედერალიზებული მოლდოვის შექმნას. (Bucataru, 2016). მან თავისი პირველი საგარეო ვიზიტი გამართა მოსკოვში ვლადიმერ პუტინთან, სადაც მან განაცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოლდოვისთვის კარგი არაფერი მოუტანია, რამაც გამოიწვია რუსეთის მიერ მოლდოვის ღვინოსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ემბარგოს დაწესება და მოლდოვამ დაკარგა რუსული ბაზარი, რაც მტკივნეული აღმოჩნდა მოლდოვისთვის. და, ამასთანავე, ქვეყნის ექსპორტი ევროკავშირში შემცირდა. აქედან იგი ასკვნის, რომ ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოლდოვისთვის არანაირი სარგებელი არ მოუტანია. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ თუკი 2018 წელს დაგეგმილ მოლდოვის საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტური პარტია გაიმარჯვებს და მოიპოვებს უმრავლესობას, მოხდება ამ შეთანხმების ანულირება. დოდონის განცხადებით, იგი დაიწყებს მზადებას, რათა სანაცვლოდ მოლდოვა შეუერთდეს რუსეთის მიერ მართულ ბლოკს - ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს (EAEU). მან დასძინა, რომ პუტინს მიმართა, მოლდოვის მიეღო დამკვირვებლის სტატუსი EAEU-ს ეკონომიკურ კომისიაში. დოდონმა განაცხადა მზადყოფნა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობისთვის და აღნიშნა, რომ მოლდოვის მოსახლეობის მიერ მისი არჩევა ნიშნავს, რომ მოლდოველები დაინტერესებულნი არიან შეინარჩუნონ ტრადიციული ორთოდოქსული ქრისტიანული ფასეულობები. (Rettman, 2017).

დოდონთან შეხვედრისას, მის მსგავსად, პუტინმაც განაცხადა, რომ სტატისტიკის მიხედვით, მოლდოვის ვაჭრობა ევროკავშირის სახელმწიფოებთან შემცირდა. მან აღნიშნა, რომ

რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული სანქციების გაუქმება შესაძლებელი იქნება, თუკი მოლდოვა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მის ევროკავშირში ინტეგრაციის გზას. პუტინის განცხადებით, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განავითარებს მოლდოვა თავის ურთიერთობებს ევროკავშირთან, რომელშიც დააზუსტა, რომ გულისხომბს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელსაც მოლდოვამ ხელი მოაწერა და ძალაშიც შევიდა. პუტინმა წამოაყენა შეთავაზებაც, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს სიტყვის თქმის უფლება მოლდოვა-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობებში ახალი "სამმხრივი" მოლაპარაკებების ფარგლებში. (Rettman, 2017).

ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის განცხადებით, მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში 27%-ით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ევროკავშრთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გააფორმა. განცხადებაში, ასევე, აღინიშნა, რომ ევროკავშირმა 335 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა მოლდოვისთვის დახმარებისთვის 2014-2017 წლებში. (Rettman, 2017).

ამრიგად, იგორ დოდონი არის პრორუსული საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე, რომელიც ეწინააღმდეგება მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციას და უპირატესობას ანიჭებს მის წევრობას რუსეთის მიერ დომინირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. მას სურს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შეწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ დოდონის სოციალისტური პარტია მოლდოვის პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა შორის ყველაზე დიდი პარტიაა, იგი არ არის ქვეყნის ამჟამინდელი კოალიციური მთავრობის წევრი, რომლის სათავეში არის პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე პრემიერ მინისტრი - პაველ ფილიპი. შედეგად, მოლდოვის პრეზიდენტს აქვს შეზღუდული უფლებები. მისი პოზიცია არის მეტწილად ცერემონიალური. უფლებამოსილება კონცენტრირებულია პრემიერ-მინისტრის მთავრობის ხელში, რომელიც იღებს ქვეყნის მთავარი გადაწყვეტილებების უმრავლესობას. ამიტომ, დოდონის სურვილი, გაწყვიტოს ევროკავშრთან მოლდოვის ასოცირების შეთანხმება იგნორირებული იქნება მთავრობის

მიერ, პრეზიდენტს კი არ შესწევს უფლებამოსილება, მოახდინოს იმ ხელშეკრულებების ანულირება, რომლებიც რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ. (Lee, 2016). შესაბამისად, მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში მთავარ პრიორიტეტად რჩება ევროკავშირთან ინტეგრაცია, რა მიმართულებითაც მოლდოვის დიპლომატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია და ევროკავშირთან ორმხრივი დიალოგის გაღრმავება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. (Galbur, 2017).

მოლდოვის პრემიერ-მინისტრის, პაველ ფილიპის განცხადებით მოლდოვის კონსტიტუცია პრეზიდენტს არ რთავს ნებას მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილებები და დოდონის განცხადებებს იგი მხოლოდ პოლიტიკურ რიტორიკას უწოდებს. ფილიპის განცხადებით, მისი პროევროპული მთავრობა დოდონის მხრიდან არავითარ ჩარევას არ მიიღებს იმ საქმეებში, რაც არ შედის პრეზიდენტის უფლებამოსილებაში. პრემიერ-მინისტრმა დასძინა, რომ ასოცირების შეთანხმება მთავრობის მმართველობის პროგრამის ნაწილი, ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული სვეტია და კიდევ უფრო დააჩქარებს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციას, გაატარებს რეფორმებს, რომლებიც გაზრდის მოსახლეობის კეთილდღეობას. მან ასევე გააკრიტიკა დოდონი რუსეთის დედაქალაქში ვიზიტის განმავლობაში, სადაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოლდოვას სურვილი აქვს დამკვირვებლის სტატუსი მიიღოს რუსეთის დომინირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. ფილიპის განცხადებით, პრეზიდენტს არ აქვს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. (FoxNews, 2017).

მოლდოვის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს განსაზღვროს და განახორციელოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და უხელმძღვანელოს არმიას (მოლდოვის კონსტიტუციის 86-87-ე მუხლები). თუკი 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტური პარტია მოიპოვებს გამარჯვებას, პარლამენტი ძალაში შეიყვანს იგორ დოდონის მიერ შეთანხმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რითაც მას შესაძლებლობა მიეცემა მოახდინოს ევროკავშირთან მოლდოვის ასოცირების შეთანხმების

ანულირება და რუსეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების ძალაში შეყვანა. ამ არჩევნებამდე კი დოდონს მოლდოვის პრეზიდენტის პოზიციაზე ყოფნა შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობაში პრორუსული დამოკიდებულების პოპულარიზაცია მოახდინოს. (Kramer, 2016).

6. რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2013-2014 წლებში

მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნას წინ უძღოდა რუსეთის მიერ მასზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები.

რუსეთი ხშირად მიმართავს ეკონომიკურ დიპლომატიას სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის მიზნით. მისი ერთ-ერთი სამიზნე მოლდოვა გახდა. ეკონომიკური მანიპულაციებით რუსეთს მნიშვნელოვანი გავლენის ბერკეტი უნარჩუნდება მოლდოვაზე, რადგან მასზე დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა. (Fisher, 2017).

რუსეთის პოლიტიკა მოლდოვის მიმართ განსაკუთრებით გააქტიურდა 2013 წლიდან. 2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე რუსეთმა მთელი რიგი სავაჭრო სანქციები დაუწესა მოლდოვას:

- 2013 წლის სექტემბერი - რუსეთმა აკრძალა მოლდოვიდან ღვინის ექსპორტი, როსპოტრებნადზორის მიერ დაწესებული ხარისხის სტანდარტთან შეუსაბამობის გამო. მოლდოვის წარმომადგენელის განცხადებით კი რუსეთის მიერ შავ სიაში ჩაწერილი მოლდოვური ღვინოები ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს. "ჩვენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში, არ ვაკეთებთ ექსპორტს, ჩვენ ევროპული ბაზრისთვისაც ვმუშაობთ" - აღნიშნავს მოლდოვის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ღვინის იმპორტი მოლდოვის ეკონომიკის ერთ-ერთი მაცოცხლებელი პროდუქტია.

- 2014 წლის 8 აპრილი - რუსეთმა აკრძალა დამუშავებული ღორის ხორცის პროდუქტების იმპორტი მოლდოვიდან. რუსეთის სოფლის მეურნეობის ჯანმრთელობის ზედამხედველობის ორგანომ დაბლოკა "CARNE SUD" კომპანიის მიერ წარმოებული მოლდოვური ხორცი იმ მოტივით, რომ პროდუქტები მიიღებოდა ევროკავშირის ქვეყნების მიერ გაცემული შტამპიანი მასალებით.
- 2014 წლის ივლისი - რუსეთმა აკრძალა დაკონსერვებული ბოსტნეულის იმპორტი მოლდოვიდან. მიზეზად დასახელებულ იქნა რუსეთის ხარისხის მოთხოვნებთან შეუსაბამობა. რუსეთი მოლდოვის ბოსტნეულის მთავარი მომხმარებელი იყო.
- 2014 წლის ივლისი - 21 ივლისიდან რუსეთმა აკრძალა ხილის იმპორტი, როგორიცაა ვაშლი, მსხალი, კომში, გარგარი, ალუბალი, ატამი, ნექტარინები, ქლიავი და კერინჩხი, რუსეთის ფიტოსანიტარული ექსპერტების მიერ მავნებლების აღმოჩენის მიზეზით. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, ხილის ექსპორტის 90-70% (მათ შორის, თითქმის მთელი ვაშლის) ხდებოდა რუსეთში.
- 2014 წლის 31 აგვისტო - რუსეთმა მოლდოვას შეუწყვიტა უტარიფო პრეფერენციები 19 კატეგორიის, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, როგორიცაა ღვინო, ხორცი, ბოსტნეული, ხილი და მარცვლეულები. აღნიშნული პრეფერენციები მოლდოვას მინიჭებული ჰქონდა 2011 წლის 18 ოქტომბრის რუსეთ-მოლდოვას CIS თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით. აღსანიშნავია, რომ არ არსებობდა ამის ტექნიკურად გასამართლებელი საფუძველი, მაგრამ რუსეთმა მოლდოვისთვის ტარიფების პრეფერენციისა და WTO-ს წევრებზე გავრცელებული MFN (Most Favored Nation) ტარიფების შეჩერების გასამართლებლად მოიშველია დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მე-6 დამატების ზოგადი დადგენილება, რომელიც ასახელებს საბაჟო კავშირის ინდუსტრიებისთვის "ზიანის მიყენების ან ზიანის მიყენების საფრთხის" მდგომარეობას. (Cenusa, etc., 2014, 5-7). MFN სტატუსი სახელმწიფოებს მინჭებული აქვთ WTO-ში, რაც გულისხმობს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის იმპორტთან დაკავშრებით მსგავსი პირობების გავრცელებას. MFN სტატუსის შეჩერება, ანუ ინიციატორი ქვეყნის მიერ სამიზნე

ქვეყანისთვის თავის ბაზარზე თანაბარი წვდომის აკრძალვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სანქციაა. (Grieco and Ikenberry, 2003, 165-166).

გარდა აღნიშნულისა, რუსეთი მოლდოვას ემუქრებოდა მოლდოვური დიასპორისა და მომუშავე პერსონალის ქვეყნიდან დეპორტითაც, რაც მოლდოვური ოჯახების დიდ ნაწილს შემოსავლის ერთადერთ არხს გადაუკეტავს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთი მანიპულირებდა ბუნებრივი აირითა და საწვავი რესურსებითაც. (Russell, 2013). ეს მუქარა კარგად გამოიხატა რუსეთის წარმომადგენლის, როგოზინის სიტყვებში, როდესაც მან მიმართა მოლდოვას: „იმედს ვუტოვებ, რომ მოლდოვა ზამთარში არ გაიყინება", რითაც აპელირება მოახდინა ქვეყნის უკიდურეს ენერგოდამოკიდებულებაზე რუსეთთან. (Russell,W., 2013). ამ მუქარის გამოვლინება, სავარაუდოდ, მილსადენების გადაკეტვა იქნება.

6.1 რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები მოლდოვის მიმართ

რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიზეზად სახელდებოდა რუსეთის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობა. თუმცა, რეალურად, რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიზანს წარმოადგენდა ხელი შეეშალა მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსისთვის.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გარდა ევროკავშირისა, მოლდოვა წარმოადგენს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესის სფეროსაც. გეოპოლიტიკური ინტერესების გამო კი, რუსეთი ცდილობს, შეცვალოს მოლდოვის პროევროპული ორიენტაცია ევრაზიულით.

მე-15 საუკუნეში მოლდოვის სამეფო გადაჭიმული იყო კარპატის მთებიდან მდინარე დნესტრამდე. 1812 წელს მდინარე პრუტის აღმოსავლეთი ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ „ბესარაბიის სახელით", დასავლეთი ნაწილი კი, 1856 წელს რუმინეთის სამეფოს ნაწილი გახდა. 1918 წელს ბესარაბიამ რუსეთისგან დამოუკიდებლობა მიიღო და მოკლე

ხანში შეუერთდა რუმინეთს. 1924 წელს, საბჭოთა კავშირმა დნესტრისპირეთის დღევანდელი ტერიტორია დღევანდელი უკრაინის ზოგიერთ ტერიტორიასთან ერთად გააერთიანა და მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე შექმნა მოლდოვის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა (მასსრ), რომელსაც, ძირითად, რუმინეთის მიერ კონტროლირებად ბესარაბიაზე პროპაგანდის წარმოების ფუნქცია ჰქონდა. საბჭოთა კავშირმა 1940 წელს, 1939 წელს გერმანიასთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტის საფუძველზე, რომელიც მას ნებას რთავდა გაეერთიანებინა რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ტერიტორია, დაიპყრო ბესარაბია და ჩამოაყალიბა მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (მსსრ) დნესტრისპირეთთან შეერთებით. მასსრ-ს სხვა ტერიტორიები კი დაუბრუნა უკრაინას. ამასთანავე, ბესარაბიის ზოგიერთი სამხრეთ ოლქი გადასცა უკრაინას, რათა მსსრ ყოფილიყო ჩაკეტილი და შეემცირებინა რუმინეთთან გაერთიანების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხე, რადგან მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანების სურვილის საფთხე არსებობდა და კომუნისტური პარტიის მიმართ უკმაყოფილების ან ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოხატულება აკრძალული იყო. (ICG Europe Report, 2003, 2-3). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, მოდლოვამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა, მოსკოვში იგი ჯერ კიდევ მიიჩნევა რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესის სფეროდ.

ნაცვლად თანასწორ პარტნიორებთან მულტილატერალური ან ბილატერალური ურთიერთობების დამყარებისა, რუსეთის მმართველი ელიტა ჯერ კიდევ აზროვნებს კლასიკური „ზე-სახელმწიფოს“ მიდგომით და ჯერ კიდევ მოქმედებს ცივი ომის დროინდელი აზროვნებით. იგი ცდილობს ევრაზიული ზონის შექმნას საბჭოთა პერიოდში არსებული გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად და აღსადგენად (Spillius, 2012) და ევროკავშირის საპირწონედ, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო იზოლაცია, რაც ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების შემთხვევაში ემუქრება. რუსეთისთვის ევროპის პოსტ-საბჭოთა

ქვეყნებში თავისი პოზიცის განმტკიცება ნიშნავს რეგიონის გარშემო გამართულ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში რუსეთის გამარჯვებას ევროკავშირზე.

ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა ინიცირებულ იქნა ვლადმიერ პუტინის მიერ, 2011 წლის ოქტომბერში. იგი წარმოადგენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელშიც უნდა გაწევრიანდნენ პოსტ-საბჭოთა სივრცის სახელმწიფოები. პუტინის ინიციატივის მიზანს წარმოადგენს რუსეთის რეგიონული და საერთაშორისო ძალაუფლების გაზრდა. მსგავს ვითარებაში, რუსეთის ინტერესებში არ შედის მოლდოვის, როგორც ამ ორგანიზაციის პოტენციური წევრის დაკარგვა ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების ქონის გამო. ამდენად, რუსეთს გააჩნია სტრატეგიული ინტერესები მოლდოვის მიმართ, რის გამოც იგი იყენებს ეკონომიკურ ბერკეტს მოლდოვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად, რათა ხელი შეუშალოს მის ევროკავშირში ინტეგრაციას და, შესაბამისად, თავისი გავლენის სფეროდან გასვლას. (Besliu, 2012).

რუსეთის მხარე პროტესტს გამოთქვამდა მოლდოვის მიერ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 3 სექტემბერს, რუსეთის წარმომადგენელმა კიშინოვში უკმაყოფილება გამოთქვა მოლდოვის პროევროპულ კურსზე. მან პირდაპირ მიანიშნა, რომ არჩეული საგარეო კურსი ქვეყანას უფრო ძვირი ენერგორესურსებისკენ წაიყვანდა, რაც მოლდოვისთვის, რომელიც ევროპის უღარიბეს ქვეყნად რჩება, ეკონომიკური კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. რუსული მხარის მიერ გაკეთდა განცხადებები, რომ მოლდოვის პოლიტიკის მესვეურების წარმოდგენა, რომ ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა უზრუნველად იცხოვრებს, მცდარია, რადგანაც ევროპა არაა სუსტების ადგილი. (Tanas, 2013).

რუსეთის მიერ მოლდოვის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური სანქციების რეალური მიზანი ჩანს 2013 წლის 12 სექტემბერს, ევროპარლამენტის მიერ ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მზადების კონტექსტში მიღებული რეზოლუციიდანაც, რომლის

პრეამბულის B პარაგრაფში ვკითხულობთ: „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გზაზე წინ მიიწევენ, რუსეთის ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ზეწოლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იძულება, რომ მათ ხელი არ მოაწერონ ან პარაფირება არ გაუკეთონ ასოცირების ანდა ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებებს და, სანაცვლოდ, შეუერთდნენ რუსეთის ინიცირებულ საბაჟო კავშირს, რომელსაც რუსეთი ევრაზიულ კავშირად გადაქცევას უპირებს." (ჭიაბერაშვილი, 2013).

ამრიგად, 2013 წლის სექტემბერში რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიზანს წარმოადგენდა მოლდოვას გაფრთხილება, არ განეხორციელებინა ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებების პარაფირება. (Cenusa, etc., 2014, 5). აღნიშნული ჩანს ოფიციალური განცხადებებიდანაც. კერძოდ, რუსეთმა მოლდოვის ღვინის იმპორტი აკრძალა მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა მოსკოვმა განაცხადა, რომ მოლდოვის რესპუბლიკის ევროკავშირთან ასოცირება გავლენას მოახდენად ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაზე. (Cenusa, etc., 2014, 5). რუსეთის მხრიდან მოლდოვის მიმართ ეკონომიკური სანქციები განხორციელდა 2014 წელსაც, რომელთაგან AA/DCFTA-ს ხელმოწერამდე განხორციელებულთა მიზანს წარმოადგენდა AA/DCFTA-ს ხელმოწერისთვის ხელი შეეშალა მოლდოვისთვის, ხოლო ხელმოწერის შემდგომ - ხელი შეეშალა AA/DCFTA-ს რატიფიცირებისთვის.

როგორც გამოიკვეთა, მოლდოვაზე გავლენის შესანარჩუნებლად, რუსეთი მანიპულერებელ ბერკეტად ეკონომიკურ სანქციებს იყენებს, რომლის მეშვეობითაც ცდილობს მოლდოვას პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი შეაცვლევინოს პრორუსულით და აიძულოს მას საბაჟო კავშირში შესვლა.

6.2 რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2006 წელს

2013 წლამდეც ჰქონდა რუსეთს მცდელობა, ეკონომიკური სანქციების მეშვეობით გავლენა მოეხდინა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე. 2006 წელს, მან აკრძალა მოლდოვის ღვინის იმპორტი, რის მიზეზადაც მასში ლითონებისა და პესტიციდების კვალის აღმოჩენა და მოლდოვური ღვინის რუსეთის სტანდარტებთან შეუსაბამობა დასახელდა. ამასთანავე, მოლდოვა აიძულა, მიეღო ბუნებრივი აირის გაზრდილი ფასი დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. (Oliker, etc, 2009, 98-99). თუმცა, 2006 წელსაც, რუსეთის მიერ მოლდოვური ღვინის ემბარგოს უკან პოლიტიკური მიზნები იმალებოდა. რეალურად, იგი წარმოადგენდა რუსეთის მიერ მოლდოვის ევროკავშირთან დაახლოების გეგმების წინააღმდეგ განხორციელებულ მცდელობას.

რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულ ღვინის ემბარგოს, რომელიც თითქმის 2 წლის მანძილზე გაგრძელდა, ძლიერი უარყოფითი გავლენა ჰქონდა მოლდოვის ეკონომიკაზე, რამდენადაც მოლდოვის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 30%-ს შეადგენს ღვინის პროდუქცია, რომლის ნახევრის რეალიზაციაც რუსეთში ხდებოდა. ამ პერიოდში, მოლდოვის ექსპორტი რუსეთში ორჯერ შემცირდა და მოლდოვის მთლიან ექსპორტში რუსეთის წილის მაჩვენებელი 17.3%-ზე დავიდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო მოლდოვის ექსპორტის მონაცემებში რუსეთში. (Popa, 2015).

რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, მოლდოვამ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს არ გადაუხვია. შედეგად, რუსეთმა 2005-2006 წლების ზამთარში, ფასის შესახებ წარმოქმნილი დავისას, მოლდოვას შეუწყვიტა ბუნებრივი აირის მიწოდება. მოლდოვა ბუნებრივ აირს იძენდა უკრაინის რეზერვებიდან, ხოლო რუსეთთან მოილაპარაკა ფასიის ეტაპობრივ ზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ექსპორტის აკრძალვამ და ბუნებრივი აირის გაზრდილმა ფასმა ზიანი მიაყენა მოლდოვის ეკონომიკას,

მან წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ძალისხმევას, დაებრუნებინა იგი მისი გავლენის სფეროში და არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს კვლავ არ გადაუხვია. (Hillebrand and Bervoets, 2013, 23-24). აღსანიშნავია, რომ WTO-ს სტატუსმა უზრუნველყო მოლდოვის ბერკეტი რუსეთის წინააღმდეგ, რამდენადაც მოლდოვა დაემუქრა რუსეთს, რომ იგი მის მიერ მოლდოვური ღვინის იმპორტის აკრძალვას გამოიყენებდა რუსეთის WTO-ში გაწევრიანებაზე ვეტოს დასადებად. ამან განაპირობა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული სანქციების წარუმატებლობა. რუსეთმა მოლდოვის ღვინისა და მინერალური წყლის აკრძალვა წლის ბოლომდე გააუქმა. (Hillebrand and Bervoets, 2013, 24). რუსეთის ძალისხმევის მიუხედავად კი, ხელი შეეშალა მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსისთვის, 2009 წლიდან მოლდოვა მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში.

რუსეთში მოლდოვური ღვინის იმპორტზე შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, მოლდოვის ექსპორტი რუსეთში აღარ დაბრუნებია ემბარგომდე არსებულ მაჩვენებელს, რაც განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: 1) რუსეთის ემბარგოს შემდეგ, ღვინის ბევრმა მწარმოებელმა მოახდინა ექსპორტის ბაზრის დივერსიფიცირება, 2) ზოგმა მწარმოებელმა ვერ შეძლო რუსეთის ემბარგოთი გამოწვეულ შედეგებს გამკლავებოდა და გაკოტრდნენ, და 3) ევროკავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესებამ და მოლდოვისთვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის მინიჭებამ განაპირობა მოლდოვის ექსპორტის გაზრდა ევროკავშირში. მიუხედავად ამისა, რუსეთი წარმოადგენდა მოლდოვის ღვინის მთავარ საექსპორტო პარტნიორს 2013 წლამდე, მის მიერ მოლდოვის ღვინის ექსპორტზე სანქციების ხელახალ დაწესებამდე. (Popa, 2015).

მოლდოვისთვის განსხვავებული შედეგების მომტანი აღმოჩნდა რუსეთის მიერ მასზე 2013-2014 წლებში დაწესებული ეკონომიკური სანქციები.

7. მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში ცვლილებების გამომწვევი მიზეზები (ცვლადების ოპერაციონალიზაცია)

როგორც გამოიკვეთა, მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში ცვლილებების წარმოქმნას წინ უძღოდა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები.

2013-2014 წლებში დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, მოლდოვამ 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოახდინა ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პარაფირება, 2014 წლის 28 აპრილს ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიიღო, 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ხოლო AA/DCFTA ძალაში სრულად 2016 წელს შევიდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ვერ შეძლო გავლენის მოხდენა მის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, რის მიზეზადაც შეიძლება განვიხილოთ მოლდოვის მიერ ალერნატიული ბაზრების პოვნა, რაც ამცირებს ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობას. მართლაც, რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა პრობლემები შეუქმნა რუსულ ბაზარზე დამოკიდებულ მოლდოველ მწარმოებლებს, რამაც მოლდოველ ფერმერებს ალტერნატიული ბაზრების ევროპაში ძიებისკენ უბიძგა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აგვისტოში ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეუქმებინა ტარიფები მოლდოვის ხილის პროდუქტებზე და გაეზარდა მათზე არასატარიფო კვოტები, რამაც შეასუსტა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგები. ასევე, გასაღების ახალი ბაზრების ძიების შედეგად, მაგალითად, 2014 წელს რუსეთის მიერ მოლდოვური ხილის იმპორტის აკრძალვის შემდეგ, მოლდოვა ვაშლის ექსპორტს ახორციელებს ეგვიპტეში, იორდანიაში, ბელარუსიასა და რუმინეთში. (Cenusa, etc., 2014, 5).

აღსანიშნავია, 2014 წელს, მოლდოვის პრემიერ-მინისტრის, იური ლიანკეს განცხადებაც, რომელშიც მან ეკონომიკური თვალსაზრისით მოლდოვის დასავლეთისკენ მიზანმიმართული ორიენტაციისა და ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის შესახებ განაცხადა: "არ დაგიმალავთ, რუსეთის სანქციები დაგვეხმარა. ჩვენ დავიწყეთ ინვესტიციების ჩადება ხარისხში, შეფუთვაში, საცავების შექმნაში. რა თქმა უნდა, საუკეთესო ხარისხის შემთხვევაში, იზრდება საქონლის ფასიც. მოლდოვის ეკონომიკაში რუსული ინვესტიცია არც თუ ბევრია. რა თქმა უნდა, დასავლეთი აქტიურ ინვესტირებას ახორციელებს". (ინტერპრესნიუსი, 2014).

თუმცა, თუ განვაგრძობთ მოლდოვაში განვითარებული მოვლენების ანალიზს, დავინახავთ, რომ რუსეთის ეკონომიკურმა სანქციებმა განაპირობა ცვლილებების წარმოქმნა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ, რასაც ხელი შეუწყო 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმაც.

მოლდოვა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, რომლის ეკონომიკა დიდწილადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე. მოლდოვის მთავარი სავაჭრო პარტნიორია რუსეთი, რასაც განაპირობებს საერთო ისტორიული წარსული, გეოგრაფიული სიახლოვე და რუსეთის დიდი ბაზარი. 2013 წელს, რუსეთზე მოდიოდა მოლდოვური ექსპორტის 26%, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის 19.9%; უფრო კონკრეტულად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების 53.7%, მცენარეული პროდუქტების 18.9% და გადამუშავებული საკვები პროდუქტების 18.2% (Stratan, etc, 2015); ხოლო მოლდოვური იმპორტის - 14%. თუმცა, მოლდოვიდან ექსპორტირებული მალფუჭებადი პროდუქტების - ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობის ექსპორტი რუსეთში 100%-ს აღწევდა. რუსეთი არის მოლდოვის ხილის ექსპორტის მთავარი მიმღები (60-70%), რომელთა შორისაა მოლდოვის ვაშლის თითქმის 100%. (Calus, 6 November, 2014). საერთო ჯამში, 2013 წელს, მოლდოვიდან რუსეთში ექსპორტირებული ხილისა და ბოსტნეულის ღირებულება იყო დაახლოებით 85 მლნ დოლარი, რაც

მოლდოვის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 4%-ს შეადგენდა. (Calus, 23 Jule, 2014). გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის სექტემბერში რუსეთის მიერ მოლდოვის ალკოჰოლურ სასმელებზე ემბარგოს დაწესებამდე, რუსეთი წარმოადგენდა მოლდოვური ღვინის მთავარ ბაზარს - იძენდა მოლდოვის მთელი ღვინის პროდუქციის დაახლოებით 30%-ს (Calus, 6 November, 2014), მოლდოვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის 25% კი ღვინოზე მოდის. მოლდოვის ღვინის ექსპორტის რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება განაპირობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ მისი შემადგენელი ქვეყნების ეკონომიკის სპეციალიზაციის შესახებ. მოლდოვის ეკონომიკა სპეციალიზებული იყო მეღვინეობაში - ათწლეულების მანძილზე, იგი უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის ბაზარზე ღვინის პროდუქციის უდიდესი ნაწილის მიწოდებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი დარჩა მოლდოვის ღვინის ექსპორტის მთავარ ბაზრად. (Dunlop, 2013).

გარდა აღნიშნულისა, რუსეთი მოლდოვის ექსპატრიარტი მუშაკებისთვის მთავარ სამუშაო ბაზარსაც წარმოადგენს. რუსეთიდან მოლდოვაში განხორციელებული ფულადი გზავნილები მოლდოვის მშპ-ს 9 %-ზე მეტს შეადგენს. (Kostanyan, 2016).

ამრიგად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოლდოვა ეკონომიკურ სფეროში ცალმხრივად დამოკიდებული აღმოჩნდა რუსეთზე. რუსეთი კი ცდილობს ამ სიტუაციის გამოყენებას მოლდოვაზე გავლენის მოსახდენად სხვადასხვა დროს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ 2013-2014 წლებში მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები სწორედ იმ პროდუქტებზე ვრცელდებოდა, რომლებიც თითქმის მთლიანად რუსეთშია ექსპორტირებული: ღვინის, დამუშავებული ღორის ხორცის პროდუქტების, დაკონსერვებული ბოსტნეულის, ხილის - ვაშლი, მსხალი, კომში, გარგარი, ალუბალი, ატამი, ნექტარინები, ქლიავი და კერინჩხი - ექსპორტი და შეუწყვიტა უტარიფო პრეფერენციები 19 კატეგორიის, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე,

როგორიცაა ღვინო, ხორცი, ბოსტნეული, ხილი და მარცვლეულები. რუსეთის მიზანს, რაღა თქმა უნდა, წარმოადგენდა ძლიერი გავლენის მოხდენა მოლდოვაზე, რათა გამოეწვია მოლდოვის მიერ არჩეული პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა პრორუსულის სასარგებლოდ. შედეგად, ამან განაპირობა მოლდოვის ეკონომიკის დაუცველობა რუსეთის სანქციების მიმართ. (Kostanyan, 2016). რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად რუსეთში მოლდოვის ექსპორტის შემცირება ასახულია დანართი 2-ში.

რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები ყველაზე მეტად საზიანო აღმოჩნდა ღვინის მწარმოებლებისთვის, რომლებმაც, რუსეთის მიერ 2013 წლის სექტემბერში დაწესებული ეკონომიკური სანქციების შემდეგ განხორციელებული მცდელობების მიუხედავად, ვერ შეძლეს რუსული ბაზრის ალტერნატივა ენახათ. ზოგიერთმა მწარმოებელმა შეძლო ემბარგოს გავლენა დაებალანსებინა აფხაზეთის გავლით რუსეთში ღვინის ექსპორტით. აფხაზი მწარმოებლები იძენენ მოლდოვური ღვინის დიდ ნაწილს, ურევენ მას საკუთარ პროდუქტში და ყიდიან რუსულ ბაზარზე. მოლდოვის ღვინის მცირე ნაწილი რუსეთში ექსპორტირებულია ბელორუსიის გავლითაც - 2014 წელს მოლდოვის ღვინის ექსპორტი ბელორუსიაში გაიზარდა 9%-ით. (Calus, 6 November, 2014). თუმცა, აღნიშნული არ აღმოჩნდა საკმარისი რუსული ბაზრის კომპენსირებისთვის. შედეგად, 2013 წლის მეოთხე კვარტალში, მოლდოვის ღვინის ექსპორტი შემცირდა 21.9%-ით, რამაც განაპირობა მთლიან ექსპორტის დინამიკაში უარყოფითი წვლილის შეტანა - -1.7%. ღვინის ემბარგოს გავლენა მოლდოვაზე გაძლიერდა 2014 წელს. პირველ კვარტალში, ღვინის ექსპორტი კიდევ უფრო საგრძნობლად, 38%-ით შემცირდა. მისი უარყოფითი წვლილი მთლიან ექსპორტში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ წლიური მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი უარყოფითი გახადა - -2.8%. ღვინის ექსპორტის შემცირება გაგრძელდა 2014 წლის მეორე კვარტალშიც და - 36.9%-ს მიაღწია, თუმცა, ღვინის ექსპორტის უარყოფითი წვლილი მთლიან ექსპორტში, -2.9%, კომპენსირებულ იქნა სხვა პროდუქტების ექსპორტის

მეშვეობით, ამიტომ მთლიანი ექსპორტი გაიზარდა 9.7%-ით (იხ. დანართი 3). უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ღვინის ემბარგოს შედეგად, 9 თვის მანძილზე, ექსპორტირებული ღვინის პროდუქცია შემცირდა 40.72 მლნ დოლარით, რაც წარმოადგენს მოლდოვის მშპ-ს 0.5%-ს. (National Bank of Moldova, 2014).

სანქციები საზიანო აღმოჩნდა მოლდოვის ხილის მეურნეობის სექტორისთვისაც. ბელორუსია-რუსეთ-ყაზახეთში საბაჟო კავშირის ფარგლებში არსებული საქონლის თავისუფალი გადაადგილების გამო, მოლდოვის ვაშლის რუსეთში რეექსპორტის მცდელობა იყო ბელორუსიის გავლით, რაც შესაძლებელი გახდა ბელორუსიის შუამავლობის მეშვეობით, რომელიც გასცემს ბელორუსიის სერთიფიკატს მოლდოვური წარმოშობის ხილზე. ბელორუსი კონტრაქტორები იძენენ მოლდოვის ვაშლს უფრო დაბალ ფასად, ვიდრე რუსები იხდიდნენ. მაგრამ, ბელორუსიის ფიტოსანიტარული სამსახური დათანხმდა რუსეთს მის მიერ აკრძალული პროდუქტების რეექსპორტზე კონტროლის გაზრდაზე. შედეგად, შეჩერდა მოლდოვური ვაშლის რუსეთის ბაზარზე რეექსპორტი, როგორც ბელორუსიის პროდუქტის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვური ხილის პროდუქცია არ დაიშვება რუსეთის ბაზარზე, მათი ექსპორტი ხდება ბელორუსიასა და ყაზახეთში, რომლებიც არ დათანხმდნენ რუსეთს, მიჰყოლოდნენ მის ამკრძალავ ზომებს. (Cenusa, 2014). გარდა ამისა, გაიზარდა მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში. 2014 წლის იანვრიდან აგვისტომდე იგი 16%-ით გაიზარდა. (Calus, 6 November, 2014). მთავრობამაც სცადა მოეხდინა ფერმერებისთვის რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ემბარგოთი გამოწვეული ზარალის კომპენსირება. თუმცა, მოლდოველი ფერმერის, იური პლოპას განცხადებით, მთავრობის მიერ ვაშლის შესაძენად სუბსიდირებული თანხა, 1.50 ლეი (0.11 დოლარის ექვივალენტი) 1 კილოგრამზე არის მინიმალური თანხა და დაბალია, ვიდრე მისი რეალური ფასი - 2 ლეი (0.14 დოლარის ექვივალენტი). ფერმერის თქმით, მათ ავტომატურად დაკარგეს თანხა, მთავრობის მიერ გაცემული სუბსიდიები კი არ აღმოჩნდა საკმარისი სესხებისა და პესტიციდების დასაფარად. (Puiu, 2014). გარდა ამისა, მოლდოველი

ფერმერებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მოსავლის აღების პერიოდში ვაშლის ექსპორტის აკრძალვა ფერმერებისთვის ვაშლის შესანახად ადეკვატური ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო. არსებულ შესაბამის სათავსოებში მოხერხდა მოკრეფილი ხილის მხოლოდ 15%-ის შენახვა. (Calus, 23 Jule, 2014).

ამრიგად, გამომდინარე იქედან, რომ რუსეთმა მოლდოვას ეკონომიკური სანქციები დაუწესა იმ პროდუქციაზე, რომელთა ექსპორტის წილიც მასზე ძალიან მაღალი იყო, ალტერნატიული ბაზრების ძიებით ვერ მოხერხდა რუსული ბაზრის მნიშვნელოვნად კომპენსირება. მართალია, ევროკავშირმაც სცადა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების დაბალანსება მოლდოველი ექსპორტიორებისთვის ევროკავშირის ბაზარზე დიდი წვდომის უზრუნველყოფით, თუმცა, მოკლევადიან პერიოდში, ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებამაც ვერ შეძლო რუსეთის ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ზიანის კომპენსირება მოლდოვისთვის, რაც, ძირითადად, განაპირობა მოლდოვური პროდუქციის ნაკლებმა კონკურენტუნარიანობამ და არასატარიფო ბარიერების არსებობამ. (Kostanyan, 2016). საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მოლდოველი ფერმერებისთვის ალტერნატიული ბაზრების ევროპაში ძიება რთული აღმოჩნდა, რადგან მოლდოველ მწარმოებელთა უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია ევროპულ ბაზარზე და წააწყდნენ ფინანსური ლიკვიდურობის პრობლემებს. უფრო მეტიც, ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლას სჭირდება დრო და ფინანსური რესურსები და კომპანიებს სჭირდებათ ინვესტიციები, რათა მათი პროდუქტები შესაბამისობაში იყოს ევროპულ სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგულაციებთან. ამიტომ, რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები დიდი დანახარჯების მომტანი აღმოჩნდა მოლდოვისთვის.

რუსეთის სანქციებს მოჰყვა მოლდოვის ფერმერების უკმაყოფილება მათი მთავრობის მიმართ. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა გაბრაზებული ფერმერების 3 კილომეტრიანი კოლონა, რომლებიც მიემართებოდნენ კიშინაუში. ზოგიერთი მათგანი მოითხოვდა, რომ მოლდოვას შეეწყვიტა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

ევროკავშირთან, სხვები მოლდოვისა და ევროკავშირის რუსეთთან საექსპორტო ფასებზე შეთანხმებას მოითხოვდნენ. (Puiu, 2014). მოლდოვის მთავრობის მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილებას კი შედეგად მოჰყვა მოლდოვის საზოგადოებში ქვეყნის სათავეში 2009 წლიდან მყოფი პროევროპული მთავრობისადმი მხარდაჭერის შემცირება 2014 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, 2016 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კი მოლდოვის პრეზიდენტად პრორუსული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე კანდიდატის, იგორ დოდონის არჩევა, რაც განაპირობებს მოლდოვის პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის პრორუსულით შეცვლისკენ სვლას, რუსეთის ინტერესების შესაბამისად.

მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში აღნიშნული ცვლილებების წარმოქმნაში ეკონომიკური სანქციების გავლენისთვის ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა 2014 წელს მომხდარი კორუფციული სკანდალი, როდესაც 1 მლრდ დოლარზე მეტი გაქრა მოლდოვის წამყვანი ბანკებიდან. მოპარული თანხა იყო მოლდოვის მშპ-ს 15%-ის ექვივალეტი, რამაც გავლენა იქონია მოლდოვის სუსტ ეკონომიკაზე - გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და მოლდოვური ვალუტის გაუფასურება. ამან კიდევ უფრო გაართულა მოლდოვაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და მოლდოვის მმართველი პროდასავლური პარტიებისთვის ძლიერ დარტყმის მიყენების განმაპირობებელი გახდა. (Tabachnik, 2016). სკანდალმა გამოიწვია სახალხო პროტესტი 2015 წელს, როდესაც დაახოებით 40000 ადამიანი მოითხოვდა მთავრობის გადადგომას და იმ ოლიგარქებისა და პოლიტიკური პირების დასჯას, რომლებიც მონაწილეობდნენ თაღლითობის სკანდალში. ისინი, ძირითადად, პროევროპული კოალიციის შემადგენლობაში შედიოდნენ და მოიცავდა პრემიერ-მინისტრს, ვლად ფილატსაც. მთავრობა მართლაც გადადგა და ფილიატი დააპატიმრეს 2015 წელს, მაგრამ პროევროპულმა კოალიციამ მოახერხა ქვეყნის მმართველობის სათავეში დარჩენა. (Montesano, 2016, 6). თუმცა, აღნიშნული სკანდალის პროევროპულ პოლიტიკოსებთან დაკავშირებამ ხელი შეუწყო მოლდოვაში მოსახლეობის პრორუსული პარტიებისადმი

მხარდაჭერის გაძლიერებას. მოსახლეობას შეექმნა წარმოდგენა, რომ ევროკავშირთან ასოცირებითა და პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსით მხოლოდ კორუფციული ელიტა და პარტიის წარმომადგენლები იღებენ სარგებელს, ამიტომ კორუფციულმა სკანდალმა განაპირობა მოლდოვის მოსახლეობის ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართვა. (Tabachnik, 2016). ამას დაემატა პრორუსული პარტიების პროპაგანდაც, რომლებმაც კორუფციის ეს სკანდალი გამოიყენეს, რათა მოლდოვის შიდა პრობლემები დაეკავშირებინათ ევროკავშირისა და დასავლეთისთვის. (Fisher, 2017).

ამრიგად, კორუფციულმა სკანდალმა ძირი გამოუთხარა არა მხოლოდ მოსახლეობის ნდობას პროდასავლური ელიტის მიმართ, არამედ, ევროკავშირის სტრუქტურებისადმი ნდობასაც კორუფციასთან გამკლავებასთან დაკავშირებით. ამით კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციებით მოსახლეობაში წარმოქმნილი უკმაყოფილება მთავრობის მიმართ. შედეგად, პრორუსულმა კანდიდატმა, იგორ დოდონმა მოსახლეობის მხარდაჭერის შედეგად მოიპოვა გამარჯვება მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში, რამაც განაპირობა ცვლილებების წარმოქმნა პროდასავლური საგარეო პოლიტიკის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ. (Tabachnik, 2016).

8. დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელის საკვლევ თემაზე მორგება

მოლდოვა და რუსეთი მოწინააღმდეგე სახელმწიფოები არიან. როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა საბჭოთა კავშირის შემადგენელი სახელმწიფო იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მან პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია და მიისწრაფის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. მართალია, 2001 წლის საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა და სცადა ურთიერთობების დათბობა რუსეთთან, რის მიზანსაც წარმოადგენდა დნესტრიპირეთის გაყინული

კონფლიქტის მოგვარება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რუსეთთან კარგი ურთიერთობების მეშვეობით, თუმცა კომუნისტური პარტიის იმედები არ გამართლდა რუსეთთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის მხრივ, რის შედეგადაც მოლდოვამ კვლავ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის აქტიურად გატარება განაგრძო. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, რომლის მმართველი ელიტა ჯერ კიდევ აზროვნებს კლასიკური „ზე-სახელმწიფოს“ მიდგომით და ჯერ კიდევ მოქმედებს ცივი ომის დროინდელი აზროვნებით. ამიტომ, ცდილობს ევრაზიული ზონის შექმნას საბჭოთა პერიოდში არსებული გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად და აღსადგენად (Spillius, 2012) და ევროკავშირის საპირწონედ, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო იზოლაცია, რაც ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების შემთხვევაში ემუქრება.

გამომდინარე იქედან, რომ მოდლოვა და რუსეთი მოწინააღმდეგე სახელმწიფოები არიან, მათ შორის კონფლიქტის მოლოდინიც მაღალია. მოლდოვის ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების გამო კი ეკონომიკური სანქციების შედეგად დანახარჯებს შორის დიდი სხვაობაც არსებობს რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს მოკლევადიან პერსპექტივაში დიდი ხარჯები ჰქონდა მოლდოვისთვის. აქედან გამომდინარე, დანართი 1-ში მოცემული ცხრილის მიხედვით, რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად, მოლდოვა უნდა წასულიყო ზომიერ დათმობებზე.

2006 წელს, მოლდოვის იძულების მოსალოდნელი ხარჯები და მომავალი კონფლიქტის მოლოდინი რუსეთთან ძალიან მაღალი იყო, მიუხედავად ამისა რუსეთმა ვერ მოახერხა მოლდოვისგან რაიმე დათმობის მიღება. ამ შემთხვევაში, 2001 წელს WTO-ში გაწევრიანება მოლდოვას დაეხმარა რუსეთის წინააღმდეგ გარკვეული ბერკეტის მოპოვებაში, რის გამოც არ წასულა არანაირ დათმობაზე რუსეთთან. ამასთანავე, მოლდოვას იმდენად ჰქონდა განსაზღვრული ევროკავშირში ინტეგრაცია, რომ იგი მზად აღმოჩნდა მიეღო მოკლევადიანი

ეკონომიკური დანაკარგები, რათა განეხორციელებინა გრძელვადიანი მიზნები. (Hillebrand and Bervoets, 2013, 24).

რაც შეეხება რუსეთის მიერ მოლდოვაზე 2013-2014 წლებში დაწესებულ მთელ რიგ ეკონომიკურ სანქციებს, მოლდოვასა და რუსეთს შორის კონფლიქტის დიდმა მოლოდინმა უზრუნველყო რუსეთის მხრიდან სანქციების დაწესებისთვის უფრო მეტი მზადყოფნა, თუმცა ზომიერი დათმობები მოლდოვის მხრიდან. მართალია, 2013-2014 წლებში დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, მოლდოვამ 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოახდინა ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პარაფირება, 2014 წლის 28 აპრილს ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიიღო, 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ხოლო 2016 წელს AA/DCFTA ძალაში სრულად შევიდა, თუმცა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობამ ქვეყნის პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატი აირჩია, რომელიც მკვეთრი პრორუსული საგარეო პოლიტიკით გამოირჩევა. როგორც გამოიკვეთა, იგი ეწინააღმდეგება მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციას და სურს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ანულირება, თუმცა, უპირატესობას ანიჭებს მოლდოვის წევრობას რუსეთის მიერ დომინირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში და აცხადებს, რომ იგი დაიწყებს მზადებას, რათა მოლდოვა შეუერთდეს რუსეთის მიერ მართულ აღნიშნულ ბლოკს. ამასთანავე, პუტინს მიმართა, მოლდოვას მიეღო დამკვირვებლის სტატუსი EAEU-ს ეკონომიკურ კომისიაში. დოდონმა განაცხადა მზადყოფნა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობისთვის და აღნიშნა, რომ მოლდოვის მოსახლეობის მიერ მისი არჩევა ნიშნავს, რომ მოლდოველები დაინტერესებულნი არიან შეინარჩუნონ ტრადიციული ორთოდოქსული ქრისტიანული ფასეულობები. (Rettman, 2017). მართალია, მოლდოვის სათავეში არის პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე პრემიერ-მინისტრი, რომლის მთავრობის ხელშია კონცენტრირებული უფლებამოსილება, და რომელმაც განაცხადა, რომ ასოცირების

შეთანხმება მთავრობის მმართველობის პროგრამის ნაწილი, ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული სვეტია და კიდევ უფრო დააჩქარებს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციას, პრეზიდენტს კი შეზღუდული უფლებები აქვს, თუმცა, 2018 წელს იქნება საპარლამენტო არჩევნები მოლდოვაში. თუკი სოციალისტური პარტია მოიპოვებს გამარჯვებას, პარლამენტი ძალაში შეიყვანს იგორ დოდონის მიერ შეთანხმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რითაც მას შესაძლებლობა მიეცემა მოახდინოს ევროკავშირთან მოლდოვის ასოცირების შეთანხმების ანულირება და რუსეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების ძალაში შეყვანა. ამ არჩევნებამდე კი დოდონს მოლდოვის პრეზიდენტის პოზიციაზე ყოფნა შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობაში პრორუსული დამოკიდებულების პოპულარიზაცია მოახდინოს. აქედან გამომდინარე, მოლდოვის პრეზიდენტად პრორუსული საგარეო ორიენტაციის მქონე კანდიდატის არჩევა მოლოვის მხრიდან რუსეთის ეკონომიკური სანქციების შედეგად რუსეთთან ზომიერ დათმობებზე წასვლად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული განაპირობა მოლდოვის მიერ დათმობებზე წასვლის სამომავლო შედეგების გათვალისწინებამ. რუსეთთან ხშირი კონფლიქტების მოლოდინის გამო, მისი მხრიდან დათმობები უარყოფითად იმოქმედებდა რუსეთთან სამომავლო ურთიერთობებში მოლაპარაკებებზე მის პოზიციაზე, გამომდინარე იქედან, რომ დათმობები აძლიერებს სანქციების დამწესებლის პოზიციას, არ წავიდეს დათმობებზე სანქციების სამიზნე ქვეყანასთან სამომავლო მოლაპარაკებებში, ხოლო ასუსტებს სამიზნე ქვეყნის რეპუტაციას. შესაბამისად, ნებისმიერი დათმობა ორმაგი დარტყმის მომტანი იქნებოდა მისთვის, რადგან მას მოუწევდა არა მხოლოდ გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოკლევადიან პერსპექტივაში, არამედ იგი ამით რუსეთს სამომავლო პერსპექტივაში მასზე ზემოქმედების უფრო დიდ ბერკეტს მისცემდა.

ამდენად, რუსეთის მიერ მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მასზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რომლებიც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული მოლდოვისთვის, გამოიწვია მხოლოდ მარგინალურ

დათმობებზე წასვლა მისი მხრიდან, რამაც მართალია ვერ განაპირობა მოლდოვის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალური ცვლილება პრორუსულით, თუმცა გახდა ცვლილებების გამომწვევი მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსში, რაც აისახა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მიერ ქვეყნის პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატის არჩევაში, რომელიც მკვეთრი პრორუსული საგარეო პოლიტიკით გამოირჩევა.

9. დასკვნა

ნაშრომი იკვლევდა იმ მიზეზების დადგენას, თუ რატომ წარმოიქმნა ცვლილებები პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკუთარი ინტერესების მისაღწევად, რუსეთმა არაერთხელ მიმართა ეკონომიკურ სანქციებს მოლდოვის მიმართ, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოლდოვის პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა პრორუსულით და მისი საბაჟო კავშირში შესვლის იძულება. რუსეთის მიერ მოლდოვის მიმართ განხორციელებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა განაპირობა მოლდოვის მოსახლეობის უკმაყოფილება მათი მთავრობის მიმართ, რამაც მოლდოვის საზოგადოებში შეამცირა პროევროპული ძალისადმი მხარდაჭერა, რაც ჯერ გამოვლინდა 2014 წლის მოლდოვის საპარლამენტო არჩევნებში, ხოლო უკვე 2016 წლის მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში, პრორუსულმა კანდიდატმა მოიპოვა გამარჯვება, რამაც განაპირობა ცვლილებების წარმოქმნა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ.

მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნას ხელი შეუწყო 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმაც, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მოსახლეობის

უკმაყოფილება მათი პროდასავლური მთავრობისა და ევროკავშირის მიმართ და უბიძგა მათ პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატის პრეზიდენტად არჩევაში.

ამრიგად, საკვლევი კითხვა, რომელიც ნაშრომის დასაწყისში დაისვა და თემის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, შემდეგი იყო: რატომ წარმოიქმნა ცვლილებები პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ? საკვლევ კითხვაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზა: პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ ცვლილებების წარმოქმნა განაპირობა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რასაც ხელი შეუწყო 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმაც. აქვე გამოვყავით დამოუკიდებული ცვლადი: რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები, დამოკიდებული ცვლადი: პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე მოლდოვის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნა პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ, და შუალედური ცვლადი: 2014 წელს მომხდარი კორუფციული სკანდალი. ნაშრომში დეტალურად განვიხილე თითოეული ცვლადი და მათი ურთიერთქმედება ერთმანეთზე. კერძოდ, შევეცადე ამეხსნა, თუ როგორ იმოქმედა რუსეთის მიერ მოლდოვაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მოლდოვის საგარეო პოლიტიკურ კურსში ცვლილებების წარმოქმნაზე და როგორ შეუწყო მას ხელი 2014 წელს მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმა.

რუსეთის ეკონომიკური სანქციების გავლენა მოლდოვის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების წარმოქმნაზე პრორუსული საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ აიხსნა დრეზნერის კონფლიქტების მოლოდინის მოდელით. როგორც გამოიკვეთა, რუსეთი და მოლდოვა მოწინააღმდეგე სახელმწიფოები არიან, რის გამოც მათ შორის კონფლიქტის დიდი მოლოდინი არსებობს. ამასთანავე, მოლდოვის ეკონომიკის რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების გამო, ეკონომიკური სანქციების დაწესების შედეგად,

მოლდოვასა და რუსეთს შორის დანახარჯებს შორის დიდი სხვაობა არსებობს. აღნიშნული მოდელიდან მოსალოდნელი იყო ეკონომიკური სანქციების სამიზნე ქვეყნის მიერ სანქციების დამწესებელ ქვეყანასთან ზომიერ დათმობებზე წასვლა. მოლდოვის პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატის არჩევა წარმოადგენდა მოლდოვის მიერ რუსეთთან ზომიერ დათმობაზე წასვლას, გამომდინარე იქედან, რომ მოლდოვის პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები აქვს, მოლდოვის მთავრობა კი კვლავ ინარჩუნებს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაცია. თუმცა, დოდონს მოლდოვის პრეზიდენტის პოზიციაზე ყოფნა შესაძლებლობას აძლევს მას მოსახლეობაში პრორუსული დამოკიდებულების პოპულარიზაცია მოახდინოს, ამიტომ მოლდოვის მოსახლეობის მიერ პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატის არჩევა უნდა მივიჩნიოთ მოლდოვის მიერ რუსეთის ეკონომიკურ სანქციებზე ზომიერ დათმობად.

და ბოლოს, კვლევის პროცესში გამოყენებული ლიტერატურისა და მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაშრომის შესავალში წამოყენებული ჰიპოთეზა დასტურდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ინტერპრესნიუსი. 27 ნოემბერი, 2014 წელი. პრემიერ-მინისტრი - მოლდოვა ნატო-ში არ გაწევრიანდება. ხელმისაწვდომია: http://www.interpressnews.ge/geo/msoflio/307023-premier-ministri-moldova-natoshi-ar-gatsevriandeba.html?ar=A (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- მალაშხია, შოთა. 2011 წელი. კონფლიქტების ანატომია.
- ჭიაბერაშვილი, ზურაბ. 9 ოქტომბერი, 2013 წელი. რუსეთის ბერკეტი. ტაბულა. ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/ge/story/75563-rusetis-berketi (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- ჯავახიშვილი, ნინო. 2004 წელი. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები. სახელმძღვანელო,
- თბილისი
- Besliu, Raluca. September 20, 2012. Moldova: At the Crossroads Between Russia and the European Union. The Oxford University Politics Blog. ხელმისაწვდომია: https://blog.politics.ox.ac.uk/moldova-at-the-crossroads-between-russia-and-the-european-union/ (ბოლოს ნანახია: 05.07.2017)
- Bucataru, Victoria. December, 2016. Stagnation on the Road to Europe: Moldova after the Presidential Election. Nations in Transit|brief. Freedom House. ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/report/special-reports/stagnation-road-europe-moldova-after-presidential-election#.WVkGQJKGPIW (ბოლოს ნანახია: 02.07.2017)
- Calus, Kamil. 23 Jule, 2014. Russia's embargo on Moldovan goods is extended. OSW. ხელმისაწვდომია: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2014-07-23/russias-embargo-moldovan-goods-extended (ბოლოს ნანახია: 05.07.2017)
- Calus, Kamil. 6 November, 2014. Russian sanctions against Moldova, Minor effects, major potential. Centre for Eastern Studies. OSW COMMENTARY No. 152, 2014-11-06.

University of Pittsburgh. ხელმისაწვდომია: http://aei.pitt.edu/58202/ (ბოლოს ნანახია: 04.07.2017)

- Calus, Kamil. 27 November, 2014. Moldova's elections: The economic situation. European Council of Foreign Relations. OSW. ხელმისაწვდომია: http://www.ecfr.eu/article/commentary_moldovas_elections_the_economic_situation365 (ბოლოს ნანახია: 04.07.2017)
- Cenusa, Denis, etc. September, 2014. Russia's Punitive Trade Policy Measures towards Ukraine, Moldova and Georgia. CEPS Working Document, No. 400.
- Drezner, Daniel W. 1999. The Sanctions Paradox. Cambridge University Press
- Dunlop, Tessa. 21 November, 2013. Why Russian wine ban is putting pressure on Moldova. BBC. ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-europe-24992076 (ბოლოს ნანახია: 02.07.2017)
- Fisher, Aleksandr. 1 March, 2017. Moldova and Ukraine: Diverging Neighbors? Eurasianet.org. ხელმისაწვდომია: http://www.eurasianet.org/node/82631 (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- FoxNews. 18 January, 2017. Moldova: PM insists ex-Soviet republic wants to join EU. ხელმისაწვდომია: http://www.foxnews.com/world/2017/01/18/moldova-pm-insists-ex-soviet-republic-wants-to-join-eu.html (ბოლოს ნანახია: 16.05.2017)
- Galbur, Andrei. 10 March, 2017. Foreign policy priorities of the Republic of Moldova. Center for European Neighbourhood Stadies. ხელმისაწვდომია: http://cens.ceu.edu/events/2017-03-10/foreign-policy-priorities-republic-moldova (ბოლოს ნანახია: 04.07.2017)
- Grieco, Joseph M., Ikenberry, G. John. 2003. State Power and World Markets: The International Political Economy. Norton, W. W. & Company, Inc.

- Hillebrand, Evan and Bervoets, Jeremy. 1 March, 2013. Economic Sanctions and The Sanctions Paradox: A Post-Sample Validation of Daniel Drezner's Conflict Expectations Model. University of Kentucky
- ICG Europe Report. 12 August, 2003. Moldova: No Quick Fix. No.147. ხელმისაწვდომია: http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/russia/8808712/Vladimir-Putin-is-trying-to-take-Russia-back-in-time.html (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Korosteleva, Elena. 29 September, 2010. Moldova's European Choice: 'Between Two Stools'? Europe-Asia Studies, Vol. 62, No. 8, p.1267–1289
- Kostanyan, Hrant. 3 March, 2016. Why Moldova's European integration is failing. CEPS. ხელმისაწვდომია:https://www.ceps.eu/publications/why-moldova%E2%80%99s-european-integration-failing (ბოლოს ნანახია: 04.07.2017)
- Kramer, Reggie. 27 October, 2016 Moldova's Presidential Election: Europe vs. Russia", Foreign Policy Research Institute. ხელმისაწვდომია: http://www.fpri.org/article/2016/10/moldovas-presidential-election-europe-vs-russia/ (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Lee, Thomas. 14 December, 2016. Will Bulgaria and Moldova Tilt Towards Russia? NAOC. ხელმისაწვდომია: http://natoassociation.ca/will-bulgaria-and-moldova-tilt-towards-russia/ (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Montesano, Francesco Saverio, etc. 18 July, 2016. The Europeanisation of Moldova: Is the EU on the Right Track? Clingendael Report. Netherlands Institute of International Relations. ხელმისაწვდომია: https://www.clingendael.nl/publication/europeanisation-moldova-eu-right-track (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- National Bank of Moldova. 2014. The impact of sanctions on the economy of the Republic of Moldova. ხელმისაწვდომია: http://www.bnm.org/en/content/impact-sanctions-economy-republic-moldova (ბოლოს ნანახია: 05.07.2017)

- Oliker, Olga, etc. 2009. Russian Foreign Policy, Sources and Implications. RAND Corporation
- Popa, Ana. April, 2015. Moldova and Russia: between trade relations and economic dependence. Expert Group, Indipendent Think-Tank. ხელმისაწვდომია: http://www.expert-grup.org/en/biblioteca/item/1105-economie-md-rusia&category=183 (ბოლოს ნანახია: 04.07.2017)
- Puiu, Victoria. 15 August, 2014. Moldova fights back against Russia's food bans. The Guardian. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2014/aug/15/moldova-fights-back-russia-food-bans (ბოლოს ნანახია: 02.07.2017)
- Rettman, Andrew. 18 January, 2017. Moldova turns from EU to Russia. Euobserver. ხელმისაწვდომია: https://euobserver.com/foreign/136582 (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Russell, W. 23 October, 2013. Moldova Looks to Europe as Russian Influence Declines Throughout Region. The American Interests. ხელმისაწვდომია: https://www.the-american-interest.com/2013/10/23/moldova-looks-to-europe-as-russian-influence-declines-throughout-region/ (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Secrieru, Stanislav, Sobják, Anita. June, 2015. Moldova's European Integration. PISM. ხელმისაწვდომია: https://www.pism.pl/files/?id_plik=20019 (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Skvortova, Alla. Country Report Moldova. ხელმისაწვდომია: http://www.cap.uni-muenchen.de/download/2003/2003_Skvartova.pdf (ბოლოს ნანახია: 18.06.2017)
- Spillius, Alex. 5 October, 2012. Vladimir Putin is trying to take Russia back in time. The Telegraph. ხელმისაწვდომია: http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/russia/8808712/Vladimir-Putin-is-trying-to-take-Russia-back-in-time.html (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)

- Stratan, Alexandru, etc. 2015. Risks to the agri-food sector of Republic of Moldova associated with restrictions imposed by the Russian Federation on Moldovan imports. Procedia Economics and Finance.
- Tabachnik, Alexander. 15 November, 2016. Presidential election in Moldova: Lessons for the West. New Eastern Europe. ხელმისაწვდომია: http://www.neweasterneurope.eu/interviews/2187-presidential-election-in-moldova-lessons-for-the-west (ბოლოს ნანახია: 02.07.2017).
- Tanas, Alexander. 3 September, 2013. Russia warns Moldova over its pro-Europe push. Chicago Tribune. ხელმისაწვდომია: http://articles.chicagotribune.com/2013-09-03/news/sns-rt-moldova-russia-20130903_1_dmitry-rogozin-russian-deputy-prime-minister-ukraine (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)
- Tanas, Alexander, Prentice, Alessandra. 14 November, 2016. Pro-Russian candidate triumphs in Moldova presidential race. REUTERS. ხელმისაწვდომია: http://www.reuters.com/article/us-moldova-election-idUSKBN1380TN (ბოლოს ნანახია: 15.05.2017)

დანართი 1

ეკონომიკური იძულების პროგნოზირების მოდელი (Drezner, 1999, 5)

	კონფლიქტის მინიმალური მოლოდინი	კონფლიქტის დიდი მოლოდინი
დანახარჯებს შორის დიდი სხვაობა	მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა	ზომიერ დათმობებზე წასვლა
დანახარჯებს შორის მცირე სხვაობა	იძულების მცდელობა არ აღინიშნება	მცირე დათმობებზე წასვლა

დანართი 2

მოლდოვის ექსპორტი რუსეთში (მლნ დოლარი) და მისი წილი მოლდოვის მთლიან ექსპორტში (%), 2004-2014 წლები (Popa, 2015, 6)



დანართი 3

ღვინის ექსპორტის წვლილი მთლიანი ექსპორტის წლიურ ზრდაში (National Bank of Moldova, 2014)



დანართი 4

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

MARIKA MALAKMADZE

The impact of Russian economic sanctions on the pro-Western foreign policy of Moldova

Master's Programe at Diplomacy and International Policy

The work is done to obtain the Master's degree in Social and Political Sciences

Superviser: Pikria Asanishvili

International relations'

Associate Professor

Tbilisi

2017